# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბუტბუტის გაცვლა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 27 ივნისი. 2019 წ. №127 (8793) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი


## მელიამ პატიმრობა გამოითხარა, ვინ იქნება შემდეგი?!




**საქართველოს** პარლამენტმა თანხმობა განაცხადა, რომ პროკურატურამ სასამართლოს ნიკა მელიას დაპატიმრების შუამდგომლობით მიმართოს. ამის შესახებ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გახდა ცნობილი.

კენჭისყრისას თანხმობა 91 დეპუტატმა განაცხადა, ხოლო წინააღმდეგი არავინ წასულა.

დეპუტატებმა საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს უფროს ამირან გულუაშვილს მოუსმინეს. მან პარლამენტის წევრებს გააცნო საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 25 ივნისის №013/4 მიმართვა, საქართველოს პარლამენტის წევრის ნიკანორ მელიას დაპატიმრებაზე საქართველოს პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შესახებ. პარლამენტის პლენარულ სხდომას თავად ნიკა მელია დაესწრო. თუმცა სხდომას არ დასწრებიან „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა დეპუტატები და „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები.

პლენარულ სხდომამდე, გუშინვე პარლამენტის საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომიტეტებმა განაცხადეს თანხმობა, რომ გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს ნიკა მელიას დაპატიმრების შუამდგომლობით მიმართოს. გადაწყვეტილებას საპროცედურო კომიტეტის ექვსმა წევრმა დაუჭირა მხარი, ერთი წინააღმდეგი წავიდა, ხოლო იურიდიული კომიტეტიდან მომხრე იყო ცხრა, წინააღმდეგი — სამი.

## ვახტანგ დავითაია:

## სამშობლოსთვის ბრძოლამ არ უნდა დალუპოს სამშობლო! ②

**ძალოვნებმა სიცოცხლის ფასად დაიცვეს ქვეყანა!**

## ხელისუფალნო, ან იმოქმედეთ სახელმწიფოებრივად ან „დაახვიეთ“ აქედან!!! ③

## სალომე ზურაბიშვილი:

## ვინც დასასჯელია, უნდა დაისაჯოს!



**პოლიციელები აქციის ღამეს იყვნენ არნახული ძალადობის ქვეშ და ძალიან დიდხანს გაუძლეს ამ ძალადობას,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის ათონელის სასახლეში, სადაც აქციის ღამეს გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისთვის მედიკოსები ღირსების მედლებით დააჯილდოვა. სიტყვით გამოსვლისას მან სამართალდამცველებისა და ჟურნალისტების შესახებაც ისაუბრა.

**„ეს დღე არის განსაკუთრებული, მინდა, რომ ეს იყოს მადლობის თქმის დღე. 20-21 ივნისის ღამეს რუსთაველის გამზირზე ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებმა მთელი ღამის განმავლობაში თავდაუზოგავად იშრომეს. ჩვენს მოქალაქეებს სამედიცინო დახმარება დროულად აღმოუჩინეს და შეძლეს მათი გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში. მინდა, მათ დიდი მადლობა გადავუხადო მთელი საზოგადოების სახელით. ოპერაციებმა წარმატებით ჩაიარა, ექვსი პაციენტის შემთხვევაში, შეუნარჩუნდათ მხედველობა და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ამ ახალგაზრდების თვალები, ეს არის ჩვენი მომავლის თვალები. სამწუხაროდ, რამდენიმე პაციენტის მდგომარეობა დღემდე რჩება მძიმე და ექიმები მათი გამოჯანმრთელებისთვის ყველაფერს აკეთებენ.**

## იენს სტოლტენბერგი რუსული რაკეტების სიძლიერეს აღიარებს!



**ახალ რუსულ რაკეტებს ბირთვული ქობინის გადატანა და ევროპულ ქალაქებამდე მიღწევა შეუძლიათ,** — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა, ბრიუსელში, ნატოს თავდაცვის მინისტერიალის ფარგლებში ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა. იენს სტოლტენბერგის თქმით, რუსეთს ჯერ კიდევ აქვს დრო „საერთაშორისო ბირთვული ძალების“ შეთანხმების გადასარჩენად.

**„ჩვენ განვიხილავთ რუსეთის მიერ სარაკეტო შეთანხმების დარღვევას და ჩვენ შესაძლო პასუხს. რუსეთს ჯერ კიდევ აქვს „საერთაშორისო ბირთვული ძალების“ შეთანხმების შენარჩუნების დრო. თუ მოსკოვი შეთანხმებას არ დაიცავს, საჭირო იქნება ჩვენი პასუხი. რუსეთის მიერ რაკეტების განთავსება ნატოსთვის მნიშვნელვანი საკითხია, რადგან ამ რაკეტებს ბირთვული ქობინის გადატანა და ევროპულ ქალაქებამდე მიღწევა შეუძლიათ. ახალი რუსული რაკეტები არღვევს „ბირთვული ძალების“ შეთანხმების პირობებს. ჯერ კიდევ არის შესაძლებელი, რომ გადარჩეს ეს შეთანხმება, ვადა ორ აგვისტომდეა.**

## ღვაწლი იაკობისა, ⑥ მადლი 14 აპრილისა

## ⑦ ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს

# სამშობლოსთვის ბრძოლამ არ უნდა დალუპოს სამშობლო!

## ძალოვნებმა სიცოცხლის ფასად დაიცვეს ქვეყანა!

ექსპრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის და ექსპრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გამოჩენა ტელეეკრანებზე, მათმა ორჭოფულმა კომენტარმა მიმდინარე ამბებზე, კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვეს. ისინი ვერ ამაღლდნენ პირად წყენაზე. „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე გადმოსდინდების“. ეს უნდა სცოდნოდა მათ მაღალ პიედესტალზე შემომსმელებს.

ძალოვნების ქმედებები სრულიად ადეკვატური იყო, სააკაშვილთან შედარებით, ლმობიერიც კი. პარლამენტის დამხობა ქვეყანამ უკვე იწვნია. ის ასეულობით, ათასეულობით ადამიანის სიცოცხლედ, ციხედ, გაუპატიურებად, რეპრესიად დაუჯდა საქართველოს. არის გასროლა, რომელიც არა მხოლოდ ერთ ადამიანს, არამედ მთელ ქვეყანას, მთელ ერს კლავს. ჩვენმა ძალოვნებმა სიცოცხლის ფასად აღკვეთეს ეს გასროლა, გადაარჩიეს ქვეყანა.

გამაგებინეთ, რატომ უნდა გაუწიოს ანგარიში 4-5 ათასი მომიტინგის მოთხოვნას დანარჩენმა საქართველომ. კაცმა არ იცის, ვინ, რა მოტივით დგას იქ, რა განათლების, რა ცენზის ადამიანები მოძღვრავენ დანარჩენ საქართველოს. სადამდე უნდა ვუსმინოთ და ვუყუროთ პრიმიტივი „ტრიბუნების“ ყელყელაობას და მოწოდებებს. უმეტესი მათგანი, არა მოწოდებით, არამედ ხელმოცარულობის გამოა „პოლიტიკოსი“. ვერ დაბარა, ვერ დათოხნა, ვერ გამოიკვლია, ვერ უმკურნალა, ვერ ისწავლა, ვერ ასწავლა, ვერ დახატა, ვერ დაწერა და გახდა „პოლიტიკოსი“ და „პატრიოტი“. ჩემთვის მნიშვნელოვანია ფერმერის, პედაგოგის, მხატვრის, არქიტექტორის, მწერლის, მსახიობის, მეცნიერის, სპორტსმენის, მშენებლის, ზრდილობიანი ახალგაზრდის აზრი საქართველოს მომავალზე, ანუ იმათი აზრი, ვინც არა მხოლოდ ლაპარაკობს, არამედ რაღაცას ქმნის ქვეყნისათვის.

მე არ მინდა, რომ ამ მერკანტილობით დაავადებულებმა განსაზღვრონ ჩემი შვილების, შვილიშვილების და საქართველოს მომავალი.

ვეკითხები პარლამენტს და თბილისის მერიას, რატომ აქვს უფლება მოქალაქეთა მცირე ნაწილს ყოფითი, ფსიქოლოგიური დისკომფორტი შეუქმნას სხვებს, თბილისელებს, მთელ საქართველოს. ვისაც სურვილი აქვს „თავისუფლების“ და „პოლიტიკური მრწამსის გამოხატვის“, კეთილი ინებოს და გავიდეს პერიფერიებში.

ეს აქციები უდიდეს ზიანს აყენებენ ქვეყნის იმიჯს, ეკონომიკას, პოლიტიკას, სულიერებას...

სამშობლოსთვის ბრძოლამ არ უნდა დალუპოს სამშობლო!

**ვახტანგ დავითაია,**
26.VI.2019

# საიდუმლო შუამავალი

## პალიკო კუბლაშვილი ადასტურებს, რომ მომლაპარაკებლის როლს ასრულებდა



პალიკო კუბლაშვილი აღიარებს, რომ „გავრილოვის ღამეს“ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის შუამავლის როლს ასრულებდა.

**„ჩვენ ყველანი ერთად ვაკვირდებოდით იმ პროცესს, რაც მიდიოდა პარლამენტის შესასვლელთან, ყველა პოლიტიკოსი, არა მხოლოდ ჩემზე მაქვს საუბარი, პოლიტიკოსები, ვინც იყვნენ იქ, ყველანი ცდილობდნენ, რომ სიტუაცია განემუხტათ. განმუხტვის ყველაზე კარგი საშუალება იყო მოლაპარაკება. ამის საშუალება ექნებოდა ადამიანს, რომელსაც შეეძლო, ორივე მხარესთან ჰქონოდა კომუნიკაცია. მე ამ შემთხვევაში შევთავაზე აკაკი ბობოხიძეს, რომ გავსულიყავი კონტაქტზე, შემეთანხმებინა შეხვედრის საკითხი, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ გახარია დათანხმდა ამ ტიპის შეხვედრას. ამის შემდეგ ბობოხიძესთან ერთად ვცდილობდი, რომ აქეთა მხრიდანაც თანხმობა ყოფილიყო. მე ნიკა მელიასთან არ მქონია საუბარი, ბობოხიძესთან მქონდა საუბარი. დროის გამო თუ იმის გამო, რომ ვერ მოვასწარით, შეიძლება მე დავაგვიანე კონტაქტზე გასვლა. ეს შეხვედრა არ შედგა და მოხდა ის, რაც მოხდა. მე ყველაფერი გავაკეთე, რომ ის ღამე სხვანაირად დამთავრებულიყო,“** — ამბობს კუბლაშვილი.

„ევროპული საქართველოს“ წევრი აკაკი ბობოხიძე ამბობს, რომ მისი მხრიდან იყო შეთავაზება, რომ მოსალაპარაკებლად პარლამენტის შენობაში შესულიყვნენ გიგი უგულავა, გრიგოლ ვაშაძე და ნიკა მელია.

**„როდესაც ჩვენ დავიწყეთ ხალხისთვის ახსნა, რომ იცით, რა ახლა პატარა ნაბიჯი იდგმება ერთმანეთისკენ, საჭიროა, ბოლომდე დავმშვიდდეთ, სრულიად მოულოდნელად დაიწყო ტყვიებისა და ცრემლსადენი ხელყუმბარების სროლა.“** — აღნიშნა ბობოხიძემ.

ნიკა მელიას თქმით, პალიკო კუბლაშვილს სთხოვეს, რომ გაერკვია, თანახმა არიან თუ არა ოპოზიციის წევრები ჩვენთან შეხვედრაზე.

**„რომელი სამოქალაქო პატრიარქი ბატონი პალიკოა, მან კი არ იტვირთა, მას სთხოვეს, რომ დაურეკე, შენ ხომ იცნობ მათ, თანახმა იქნებიან თუ არა ჩვენთან შესახვედრად. რა შეხვედრა, ატყდა, მაგრამ რა ატყდა,“** — აღნიშნა ნიკა მელიამ...

# „შენ და უსინდისო მიშა ხართ სწორედ პასუხისმგებელი ამ ახალგაზრდების დათხრილ თვალებზე“



**შენნაირ უსულო ადამიანს, ვერც წარმოუდგენია, რომ როგორც ექიმი, მართლა ორმაგად განვიცდი ამ ახალგაზრდების დაკარგულ თვალებს და ყოველ ჭრილობას,** — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი აკაკი ზოიძე „ფეისბუქის“ გვერდზე წერს, რითაც „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებას გამოეხმაურა.

**„სპეციალურად მხოლოდ პირად გვერდზე ვწერ ამას. დანაშაულებრივი პარტიის, „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდის მინისტრს ნიკა გვარამიას საერთოდ არ გავცემდი პასუხს მისთვის დამახასიათებელ ბინძურ საქციელზე ჩემი მისამართით, რომ არა თემა, რის გამოც უშვერი ლანძღვა-გინების კორიანტელი დააყენა ამ ყოვლად უღირსმა ადამიანმა: სწორედ შენ სინდისზეა შენი პატრონი მიშას ძალაუფლებისადმი დაუოკებელი ლტოლვისთვის 20 ივნისის ოკუპანტის წინააღმდეგ ალალი პროტესტით გულანთებული ახალგაზრდების შემართების გამოყენება, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის და დასახიჩრების ფასად. შენ და უსინდისო მიშა ხართ სწორედ პირველი დამნაშავეები და პასუხისმგებელი ამ ახალგაზრდების დათხრილ თვალებზე. მელია უბრალო პროვოკატორი და შემსრულებელია, რომელიც მსხვერპლად შეწირეთ. კარგად ჩანდა, იქ ვინ გეგმავდა შტურმს პარლამენტზე, ვინ ითხოვდა კიდევ ერთხელ მსხვერპლს და გვამებს, გეტყობოდათ, როგორი გაცოფებული იყავით ყველა, როდესაც ღმერთმა დაგვიფარა ჯერჯერობით და მსხვერპლი არ მოყვა თქვენს ამ პროვოკაციას. მხოლოდ შენნაირი ადამიანების ავადმყოფურ ფანტაზიას შეუძლია წარმოიდგინოს, რომ არათუ მე, — არამედ ვინმე ამ მიწაზე დაბადებული, — ამ ქვეყნის შვილების პატრიოტულ შემართებას შეიძლება მაიმუნობად აღიქვამდეს. მეტიც, შენნაირ უსულო ადამიანს, ვერც წარმოუდგენია, რომ როგორც ექიმი, მართლა ორმაგად განვიცდი ამ ახალგაზრდების დაკარგულ თვალებს და ყოველ ჭრილობას“,** — წერს აკაკი ზოიძე.

ნიკა გვარამიამ აკაკი ზოიძე გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ „აკაკი ზოიძე ბავშვების თვალების დათხრას აპრავებს“.

# დავით უსუფაშვილი მზადაა მოსალაპარაკებლად



**მზად ვარ ბიძინასთან პროპორციულ არჩევნებზე მოსალაპარაკებლად,** — განაცხადა „შენების მოძრაობის“ ლიდერმა დავით უსუფაშვილმა.

უსუფაშვილმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მშვიდ ვითარებაში პროპორციული სისტემით არჩევნების ჩატარებით ბიძინა ივანიშვილი დაკარგავს ერთპიროვნულ მმართველობას და სააკაშვილი მას ვერ დაეუფლება.

**„არეულ ქვეყანაში, მოქმედი სისტემით ჩატარებულ არჩევნებში ან ერთი შეინარჩუნებს ძალაუფლებას ან მეორე ჩაიგდებს ხელში. შესაბამისად, ნიკა მელიას დაკავებით „ოცნება“ ცდილობს, სააკაშვილთან მიდენოს ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალები, ხოლო ვითარების დაძაბვით სააკაშვილი ცდილობს, მიაღწიოს იმას, რომ ჩამოშლილი „ოცნების“ პირობებში ჩატარებული არჩევნების გზით გაიფორმოს ხელისუფლება.**

**ვაცხადებ, რომ მე და ჩემი კოლეგები „შენების მოძრაობიდან“ ვართ საქართველოს მოქალაქეების იმ ნაწილის წარმომადგენლები, რომელთაც ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ დაგვაშანტაჟებს, ვერ აგვაცდენს ქვეყნის შენების სწორ გზას. ამიტომ, არ მომერიდება მიშასი და მზად ვარ, ბიძინასთან პროპორციულ არჩევნებზე მოსალაპარაკებლად. არ მომერიდება ბიძინასი და „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ერთად მოვითხოვ აქციის დამრბევთა დასჯას. არ მომერიდება მიშასი, როდესაც პარლამენტში შეჭრის მცდელობას დავგმობ. არ მომერიდება ბიძინასი, როდესაც მელიას დაკავების მცდელობას დავარქმევ პოლიტიკურ მზაკვრობას“,** — განაცხადა დავით უსუფაშვილმა.



# ხელისუფალნო, ან იმოქმედეთ სახელმწიფოებრივად ან „დაახვიეთ“ აქედან!!!

**პირდაპირ საქმით დავიწყოთ.**

**...იმ ახალგაზრდების გამოჩენა, რომლებმაც უარი უთხრეს „ცნობად პოლიტიკანებს“ აქციის წარმართვაზე, ზუსტად ჰგავს იმ პროცესს, რომელმაც 80-იანი წლების ბოლოს დაანგრია დამკვიდრებული აზრი – თუ პარტიული სკოლა გავლილი არ გაქვს, ხალხის ლიდერი და პოლიტიკოსი ვერ იქნები!**

**განათლებამ, რწმენამ და სამშობლოს სიყვარულმა დაანგრევინა ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გია ჭანტურიას, ზურა ჭავჭავაძეს და ბევრ სხვას, ეს, ერთი შეხედვით, აბსურდული ფორმულა, რომელიც „დასავლური“ და „ცივილიზებული“ სიოს მიუხედავად, წინა საუკუნიდან მწარე მემკვიდრეობად გადმოგვყვა.**

ამ დღეებშიც იგივე მოხდა და დღევანდელი პოლიტიკანები იმ რაიკომის მდივნებისა და ცეკას ინსტრუქტორების პოზაში დააყენა, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ კბილებიდან არ გაეშვათ ნადავლი – პოლიტიკურ პროცესებში ტივტივი. არა საქმის კეთება, არამედ მუდამ „ცვეტში“ ყოფნა.

ნაცებმა რაღაც მომენტში მოახერხეს და ახალგაზრდების აშკარად გულწრფელი აქცია, რომლის „პოლიტიკანებისგან“ გამიჯვნა სურდათ, კვლავ ხელში ჩაიგდეს, მაგრამ ეს ძალიან კარგია, კარგია, რადგანაც ყველამ დაინახა ნაცების რევანშისტული სურვილები. რევანშისტული სურვილები და არა პოლიტიკურ პროცესებში გულწრფელად მონაწილეობა.

აქციის „ლეგიტიმურად გაპოლიტიკურების“, ანუ რეალურად ხელში ჩაგდების მეთოდი საკმაოდ მარტივი გასაშიფრი აღმოჩნდა.

გია ბუღაძემ დაიწყო და თითქმის ნებისმიერი გამომსვლელი, სიტყვების რახარუხში ახმიანებდა მთავარ მესიჯს – თქვენ გჭირდებათ პოლიტიკოსები, რათა აქციას მიეცეს ორგანიზებული ხასიათი.

„ისინი (ხელისუფლება) ელოდებიან თქვენს დაღლას, ამიტომ მოიწვიეთ პოლიტიკოსები (ანუ ნაცები!!!) და ერთად ვიბრძოლოთ გამარჯვებისთვის.“

პირველ რიგში ვიტყვი, რომ ეს მესიჯი იყო აქციაზე შეკრებილი ხალხის შეურაცხყოფა. მათ ეშინიათ, რომ ამ ახალგაზრდებში გამოჩნდებიან განათლებული, ჭეშმარიტი პოლიტიკოსის თვისებებით დაჯილდოებული ახალგაზრდები, რომლებიც გვერდზე ჩააჩოჩებენ უკვე ყელში ამოსულ პოლიტიკურ „ბომონდს“ და მათ ადგილს დაიკავებენ.

მეორე და მნიშვნელოვანი არის გამომსვლელთა მიერ წარმოთქმული ფრაზების ფორმა. ვინც ამ ტექნოლოგიებში ოდნავ მაინც ერკვევა, ადვილად მიხვდება ტექსტის წარმოთქმის სტილს – რაღაც თბილი წინადადება, ოდნავ მუხტის აწევა და მთავარი მესიჯი – გვერდით დაიყენეთ ნაცები! შემდეგ ისევ ამ ფორმულის გამეორება, ანუ ფორმულა – წინადადება, მცირე ლოზუნგი და მთავარი მესიჯი. ამის დანახვა ძალიან იოლია.

პროცესებში ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას გამოეხმაურა პარლამენტის ვიცე-სპიკერი ირმა ინაშვილი: **ახალგაზრდობის ფაქტორი წინა პლანზეა, ეს ფაქტორი ჩვენს პატივისცემას და მოკრძალებას იწვევს, ამიტომაც სიმართლის თქმას ბევრი თავს არიდებს... იმ ლოგიკით, რომ სიმართლემ ახალგაზრდობის გულწრფელი გრძნობები არ შელახოს. მე კი მგონია, რომ ჩვენს ახალგაზრდობას სწორედ დღეს და ხმამაღლა უნდა ვუთხრათ, რასაც ვფიქრობთ: ოკუპანტი ვინაა, ვიცით, ჩვენო შვილებო! მაგრამ, მიკვირს, თანაოკუპანტებთან დგომა უხერხულობას რომ არ გიქმნით. ვინც არ იცით, გეუბნებით და გადაამოწმეთ: კოდორში საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა, ისე დათმეს სააკაშვილ- ბოკერიებმა! ახალგორიც ასე გაყიდეს! თქვენი ასაკის წვევამდელები ავტობუსებში ჩასვეს, ჩაიყვანეს გორში და ფრონტის წინა ხაზზე მიატოვეს! მიწების 22% ჩააბარეს! ოკუპანტს საქართველოში ჰყავდა და ჰყავს თანაოკუპანტები სააკაშვილ-ბოკერიას ტანდემი! და თქვენ ახლა მათი პოლიტსახეების დომინირება აქციებზე დისკომფორტს არ გიქმნით?! თან, საკუთარ თავს და საზოგადოებას არწმუნებთ, რომ ეს ხალხი არაფერ შუაშიაო. ჩვენც რაღაცა გვინახავს და გაგვივლია ამ ცხოვრებაში. 80-იანი წლებიდან ხან უნივერსიტეტის ბაღში ვართ, ხან პარლამენტის წინ, ხან ომებში და ხან – ჭუბერზე. მაშინ მიკროფონთან ზურაბ ჭავჭავაძე, ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა იდგნენ. ერთი უხამსი სიტყვა არ გაჟღერებულა მათგან. ყოველი ფრაზა მხოლოდ ზნეობის, ეთიკის, მორალის, კულტურის მაღალი შეგნებით იყო გაცისკროვნებული და ასე შემოდიოდა ჩვენში სამშობლო, ასე ინთებოდა ჩვენი გულები. ვინც მიკროფონთან იდგა, ყველა განსაკუთრებული ბიოგრაფიის ადამიანი იყო. მათ სიტყვას წონა ჰქონდა. ახლა რას ვხედავთ? დამტკიცება გინდათ, რომ სააკაშვილ- ბოკერიები ადამიანებს აწამებდნენ? თქვენს მშობლებს ჰკითხეთ, რა წლები გავიარეთ და თითქოს დაგავიწყდათ, ან არ იხსენებთ, ამას როგორ ახერხებთ, მიკვირს...**



**მწამებლებს გვერდით როგორ იყენებთ? ვინ ამკვიდრებს ამ „მოდას“, რომ კრებით მეგის ქარდავებთან და კოხტა კოდუებთან დგომა სამარცხვინო არაა?! თუ აქამდე თქვენთვის არავის უთქვამს, მე გეუბნებით: ასეთ ხალხს ხელს არ ართმევენ და „გამარჯობას“ არ ეუბნებიან. ასეთი ხალხის მიერ მოწოდებული ჭიქით წყალს არ სვამენ! ასეთ ხალხს არა თუ გვერდით არ უდგებიან, სოროებიდან მზის სინათლეზე არ უშვებენ. და მიკვირს, როგორ ხდება, რომ ამ მართალ წესზე თვალს ხუჭავთ.**

**და მრჩება კიდევ ერთი კითხვა... ძალიან მტკივნეული კითხვა: სოხუმის და ცხინვალის დაბრუნება გვინდა საერთოდ, თუ არ გვინდა? თუ გვინდა, ამას როგორ ვაპირებთ...**

მომავალ არჩევნებში ბევრი ის ახალგაზრდა ჩაერთვება, ვინც ამ დღეებში იქ იდგა, ყველაფერი თავისი თვალით ნახა, გამოცდილება შეიძინა და ზუსტი შეფასებები გააკეთა.

შემეძლო, ეს ტირადა ლოზუნგით – დაგერხათ ჩასარეცხებო! (მიუხედავად იმისა, რომ მიშას ნათქვამია, ეს ფრაზა ძალიან მომწონს) დამემთავრებინა, მაგრამ არ ვიტყვი. მათი დრო, ფაქტობრივად, უკვე წასულია და ამ სათქმელს სწორედ ეს ხალხი ეტყვის.

ახლა კი უმთავრესი – რა ხდება, როგორ უნდა მოიქცეს ხალხი და როგორ უნდა მოიქცეს ხელისუფლება.

გახარიას მინისტრობა არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც დამნაშავეების დასჯა. მელია არ არის ძვალი, რომ გადმოგვიგდონ და არც გახარიაა ის კაცი, რომლის გაცვლაზეც ხალხი უნდა წავიდეს.

შეიძლება, არ დააკავონ, მაგრამ სამადაშვილის, ვაშაძის, უგულავას, ხოშტარიას, გოცირიკას და სხვების პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს. თუნდაც ისე, რომ ეს ხალხში მაქსიმალურად გაბაზრდეს და ყველამ იგრძნოს ის დამოკლეს მახვილი, რომელიც საზოგადოებას ხელში უჭირავს.

**სახელმწიფომ იმოქმედოს ისე, როგორც უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ!**

პროვოკატორების, მუდმივი არეულობისა და დაძაბულობის ინიციატორების, დეპუტატის მანდატსა და ტელევიზიის დირექტორის თანამდებობას ამოფარებული სისხლის სამართლის დამნაშავეების, რევანშისტების, მოძალადეების, უტრაკო არაკაცების, რომლებიც ხალხზე ცდილობენ სისხლიანი ხელების შეწმენდას, წინააღმდეგ უნდა დადგეს სახელმწიფოს, ვიმეორებ – სახელმწიფოს მიერ დადგენილი კანონი!

არანაირი კოჰაბიტაცია, არანაირი „დასავლეთი ვერ გაგვიგებს“ (უმოქმედობას უფრო ვერ გაგვიგებს!), არანაირი „გავლენიანი არასამთავრობოების დასკვნების“ გათვალისწინება. კანონი აღსრულდეს და ქვეყანა გადარჩება! კი არ დაიქცევა (როგორც იმ ცნობილ კალამბურშია), გადარჩება და თავისუფლად ამოისუნთქავს.

აუცილებლად მისახედია „ოცნების“ კოჰაბიტაციის თემა. აუცილებელია ნაცებთან შეკრული ტიპების დასახელება, რომლებიც გათავკერძდნენ, გაზულუქდნენ, გაამპარტავდნენ, მოწყდნენ რეალობას და ვინც კიდევ წელიწადნახევარი უნდა ვარჩინოთ.

ისინი მუდმივი შიშის ქვეშ უნდა იყვნენ, პასუხისმგებლობის შიშის ქვეშ.

მესმის, რომ ეს რადიკალური ზომებია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში სხვა გამოსავალს ვერ ვხედავ.

არ მინდა ლენინის სიტყვების გამეორება, მაგრამ **თეთრხელთათმანიანი მარქსისტები რევოლუციას ვერ მოახდენენ**. მე, ფაქტობრივად, რევოლუციაზე მივდივარ. მენტალურ რევოლუციაზე და ხელთათმანები არ მაქვს.

და ამ დროს როგორ იქცევა ხელისუფლება? „ოცნების“ დეპუტატების გამოსვლებს რომ ვუსმენ, ან ვკითხულობ, უკვე სიმწრით მეცინება.

ძირითადი პათოსი ასეთია – მათ მოახდინეს პროვოკაციები, მათ დაგეგმეს სახელმწიფო გადატრიალება, ისინი აქეზებდნენ ახალგაზრდებს, რომ მიეტანათ შტურმი პარლამენტზე და მერე თვითონ გაიპარნენ!

ეს დედააფეთქებული, პოლიციაც გყავთ, პროკურატურაც, სუსიც, ჯარიც და მე შემომჩივით ამას?

ხალხს ეუბნებით – სახელმწიფო გადატრიალებას აწყობდნენო და რა გინდათ? გამოვიდეთ და ჩვენ დავერიოთ იმ ნაძირალებს, რომლებზეც ამდენი წელია, გეუბნებით, რომ ნაძირალები არიან!

ამოვიდა ყელში თქვენი პოლიტკორექტულობა და შიში – „დასავლეთი რას იტყვის“?!.

ან იმოქმედეთ ისე, როგორც სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს, ან „დაახვიეთ“ აქედან.

ისევ ირმა ინაშვილის ფეისბუქ-პოსტი მინდა დავიმოწმო: **დააკვირდით, რა უნიჭო თამაშია. ყურადღებით მოუსმინეთ „ქართული ოცნების“ ლიდერების გამოსვლებს. ისინი ნაცმოძრაობას აიგივებენ რადიკალურ ჯგუფთან, ტერორისტებსაც კი უწოდებენ. ამ დროს, ვერ გპასუხობენ, თავის დროზე რატომ არ დასაჯეს ეს რადიკალები და კრიმინალები, რატომ არ დაუჭირეს მხარი ჩვენს რეზოლუციას, მაგრამ სხვა ასპექტს მიაქციეთ ყურადღება, „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობასთან მხოლოდ ნიკა მელიას და თინა ბოკუჩავას აიგივებს. ეს მაშინ, როდესაც რეალურად ყველაზე რეაქციული, ყველაზე ჭეშმარიტი ნაცმოძრაობა წარმოდგენილია ბოკერიას პარტიაში. ბოკერია დღეს „ქართული ოცნების“ ყველაზე ბუნებრივი, ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე სასარგებლო სატელიტია. ბოკერია, ერთი მხრივ, თანამშრომლობს ხელისუფლებასთან (ერთად დაგეგმეს გავრილოვის საპარლამენტო პროვოკაცია), მეორე მხრივ, აქეზებს, უბიძგებს ნაცმოძრაობის მონათესავე ფრთას რადიკალიზმისაკენ ისე, რომ თავად შეინარჩუნოს კონსტრუქციული პოლიტიკური პარტიის იმიჯი. გაიხსენეთ, პარლამენტის წინ ვითარების დაძაბვისთანავე ბოკერია და კანდელაკი მყისვე გაემიჯნენ ძალადობას. არადა, ძალადობის კულუარული მაპროვოცირებლები თავად არიან. „ქართული ოცნების“ ლიდერებიც მკვეთრად მიჯნავენ ერთმანეთისგან მელიას და ბოკერიას, კანდელაკს და გოცირიძეს, უგულავას და ნაყოფიას, ნადირაშვილს და ბოკუჩავას. მათთვის მისაღებია „კონსტრუქციული“ ბოკერია, ვიდრე რადიკალი მელია. „ქართულ ოცნებას“ ვეხმიანები: რასაც აქამდე გეუბნებოდით, ხომ აგიხდათ. ახლა ბოლო კეთილ რჩევას გაძლევთ: ნამდვილი ნაცმოძრაობაა ბოკერიას პარტია და ნუ ეხმარებით მას, ჩამოირეცხოს წარსული. ისედაც ცუდადაა თქვენი საქმე. დაასრულეთ პოლიტიკური ფლირტი ბოკერიასთან. ქართველი ხალხის ინტელექტზე, ეტყობა, ადეკვატური წარმოდგენა არა გაქვთ და ეს ხალხი, რომელიც კარგად გაკვირდებათ, აღშფოთებული და შეურაცხყოფილია თქვენი მზაკვრობებით, ემზადება ამ თამაშების დასასრულებლად. პირდაპირ გაიგეთ, რასაც გწერთ.**

წერილს კი ჩემი ერთი ფეისბუქ-პოსტით დავამთავრებ, რომლითაც გამოვხატავდი დამოკიდებულებას იმ ქართული პოლიტელიტის მისამართით, რომლებსაც ისევ ზედაპირზე ტივტივი სურთ:

**ვინ არ უნდა იყოს მომავალ პარლამენტში:**

**1. ერთკაციანი პარტიების „ლიდერები“;**

**2. 1991 წლიდან დაწყებული, ყოფილი ოდიოზური და მარგინალი პარლამენტარები;**

**3. ის ბიზნესმენები, რომელთა ბიზნესი ძირითადად საქართველოშია;**

**4. ის ხალხი, ვისი სრული ბიოგრაფია არავის არა აქვს წაკითხული.**

დღეს დიდი არჩევანის წინაშე ვდგავართ. ჩვენი, საზოგადოებრივი აქტიურობით შეგვიძლია, მივაღწიოთ იმას, რომ 2020 წლისთვის ერთხელ და სამუდამოდ განვთავისუფლდეთ იმ შარლატანებისგან, რომლებიც ამდენი წელია ხრავენ და თქვლეფენ ჩვენს ქვეყანას.

სწორედ ამიტომ მენტალური რევოლუცია უნდა მოვახდინოთ, რევოლუცია, რომელიც ქვეყანას ნორმალური ცხოვრების კალაპოტში ჩააყენებს.



**გია გაბრიჭიძე**

# საპენსიო ფონდში სოლიდური თანხები შედის!

**საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით მთავრობის აღტაცება და სპეციალისტების სკეპტიციზმი არ იკლებს. 2019 წლის 1 იანვრიდან დღემდე საპენსიო სისტემაში დაახლოებით 820 ათასამდე ადამიანი გაწევრდა, თუმცა აპრილიდან დღემდე სისტემიდან ბენეფიციართა 11% გავიდა.**

საპენსიო სააგენტოს ხელმძღვანელის **ლევან სურგულაძის** ინფორმაციით, საპენსიო სისტემის დატოვება, ძირითადად, კერძო სექტორში დასაქმებულთა მიერ ხდება.

**„სისტემას ქალბატონები უფრო მეტად ტოვებდნენ. ასევე, ვისაც გაუჩნდება დატოვების უფლება ან უკვე გაუჩნდა, იმის დაახლოებით 20%-ს ჯერ არ ჩართვია სააგენტოს დატოვების უფლება და მომავალში ჩაერთვება“** — განაცხადა სურგულაძემ.

ჩვენ სისტემაში გაწევრება ყოველდღე მიმდინარეობს და დღეში დაახლოებით 1 000-2 000 ახალი ადამიანი წევრდება. შესაბამისად, გარკვეულ ნაწილს სისტემის დატოვების უფლება სამი თვის შემდეგ ექნება. დღეს მე მონაცემებით კმაყოფილი ვარ. ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე ველოდით.

**2 მლნ 700 ათასი ლარი სარგებელი დაერიცხა იმ თანხას, რა დანაზოგებიც ჩვენთან არის. ამ ეტაპზე საპენსიო ფონდში თანხა 250 მლნ-ის ფარგლებშია მობილიზებული. უფრო დიდი მოლოდინები მაქვს, რომ უფრო დიდ რიცხვებზე ავალთ“,** — განუცხადა „ბიემს“ სურგულაძემ.



წესით, წლის ბოლომდე ფონდში 800 მლნ ლარი უნდა იყოს მობილიზებული, მომავალ წელს მილიარდზე მეტი, ხოლო ორ წელში 2 მლრდ ლარი.

რაც არ უნდა ამტკიცოს ხელისუფლებამ რეფორმის წარმატების შესახებ, ხალხი საპენსიო ფონდს მაინც ალმაცერად უყურებს. ამას ადასტურებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ დაკვეთილი საზოგადოებრივი აზრის კვლევაც, რომლითაც დასტურდება, რომ **მოქალაქეთა 53%-ს საპენსიო რეფორმა არ მოსწონს. მასშტაბურ სახელმწიფო ინიციატივაში, რომელიც 2019 წლის იანვრიდან ამოქმედდა, გამოკითხულთა 49%-ია ჩართული. 95%-ის აზრით, ეს ყოველთვიურ შემოსავალზე უარყოფითად აისახა.**

სოციოლოგიური კვლევა, რომელიც 2 კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, 2019 წელს „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა. კვლევის ფარგლებში სულ 2087 ადამიანი გამოიკითხა. გამოდის, მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის რეფორმა მიუღებელია, თუმცა 40 წელს მიუღწეველი მოქალაქეებისათვის არჩევანის თავისუფლება არ არსებობს, ისინი კი, ვინც თავისუფალი არჩევანის წინაშე დგანან, საბოლოო გადაწყვეტილებას 2 თვეში მიიღებენ.

ეკონომისტი **ირაკლი ყიფიანი** საპენსიო რეფორმის მიმდინარეობის შეფასებისას ამბობს, რომ ძალიან ბევრ კითხვაზე არ არსებობს მკაფიო პასუხი და არც კანონი და აღსრულებაა გამართული. შესაბამისად, დიდია რისკი, ხალხმა წლობით ნაგოვები ფული დაკარგოს.

**„უნგრეთსა და პოლონეთში ხომ ასე მოხდა. ხალხმა აგროვა ეს თანხა, მთავრობამ კი ნაციონალიზაცია მოახდინა, რადგან საბიუჯეტო დეფიციტი ჰქონდა და მოსახლეობის მიერ დაგროვლი თანხა გამოიყენა. სად არის გარანტია, რომ იგივე არ მოხდება ჩვენთანაც, მით უმეტეს, რომ ჩვენთან ყველა ხელისუფლებას აქვს მაღალი მხარჯველობითი ტრადიცია. სწორედ ამიტომ არსებობს დიდი რისკი, რომ ხალხმა ეს ფული დაკარგოს.**

**ძალიან ბუნდოვანია, ვინ განკარგავს ასეულობით მილიონ ლარს. ჩნდება ათასი ვერსია, ამ დროს კი არსებობს კანონში ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც, საპანსიო ფონდში დაგროვილი თანხა უნდა გამოიყენონ ქვეყანაში არსებულმა ფინანსურმა ინსტიტუტებმა. ამ დროს კი ისმის კითხვა — ეს რამდენად სწორი დივერსიფიცირებაა?**

**როცა ამდენ კითხვაზე არ არსებობს პასუხი, რასაკვირველია, გაურკვევლობა ჩნდება. ამ ბუნდოვანების გამფანტავი კი არავინაა“,** — აცხადებს „რეზონანსთან“ ყიფიანი.

**ეკა ბაქრაძე**

# ახალი კანონი და ხადურის უწყება მოახერხებენ მომხმარებელთა დაცვას?!

**მომხმარებელთა ინტერესებს, მომხმარებელთა ომბუდსმენის ნაცვლად, კონკურენციის სააგენტო დაიცავს. პარალელურად მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ კანონპროექტი მომზადდა, რომელიც მეწარმეებისთვის მიუღებელია.**

ახალ სტრუქტურაში 20 ადამიანი დასაქმდება. 2021-2022 წლებში დეპარტამენტის ფუნქციონირებისთვის საჭირო იქნება წელიწადში საშუალოდ 550 000 ლარი. ახალი კანონის აღსრულებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემური საკითხია ჯარიმის ოდენობა, რომელიც უნდა დაეკისროს მოვაჭრეს სააგენტოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შეთხვევაში.

როგორც კანონპროექტშია აღნიშნული, სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში გადაწყვეტილების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მოვაჭრეს დაეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს წინა ფინანსური წლის განმავლობაში მოვაჭრის წლიური ბრუნვის 2 პროცენტს. ასევე, დარღვევის 12 თვის განმავლობაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში, მოვაჭრეს დაეკისრება უკვე დაკისრებული ჯარიმის ორმაგი ოდენობა.

დამსაქმებელთა ასოციაციის იურისტი ნიკა აბუთიძე პარალელურად რამდენიმე სიახლეზე ამახვილებს ყურადღებას, მათ შორის ჩანაწერზე, რომლის თანახმად, მომხმარებელს, პროდუქციის შეძენიდან ორი კვირის ვადაში, მისი უკან დაბრუნება შეეძლება, თუნდაც მარტივი მიზეზით — თუ სახლში მიტანისას ჩათვალა, რომ აღარ მოსწონს. ეს ეხება დისტანციურ და სავაჭრო ობიექტს გარეთ დადებული ხელშეკრულებით შეძენილ პროდუქციასაც.




**„რას გულისხმობს ეს 2-კვირიანი ვადა? ამ დროის განმავლობაში მომხმარებელს უფლება აქვს, დააბრუნოს შეძენილი პროდუქცია, ხოლო მოვაჭრე ან პირი, რომელმაც მოახდინა პროდუქციის რეალიზაცია, ვალდებულია, მიიღოს ისე, რომ მას არ აქვს რამე ზიანის მოთხოვნის შესაძლებლობა მომხმარებლისათვის. ამიტომ ვფიქრობთ, ეს დაამძიმებს განსაკუთრებით მცირე ბიზნესის მდგომარეობას, რადგან დაბრუნებული ნივთი უკვე მეორად პროდუქტად ჩაითვლება, თუნდაც ორკვირიანი გამოყენების შემთხვევაში. მცირე მეწარმე ვეღარ გაყიდის მას, როგორც ახალ პროდუქტს“,** — აღნიშნა „ბიემთან“ იურისტმა და დასძინა, რომ ამ კანონმა სამოქალაქო კოდექსის დანიშნულებაც შეიძინა, რადგან პირდაპირ ეხება ხელშეკრულების დადებისა და ხელშეკრულებიდან გასვლის ფორმას, რაც სამოქალაქო კოდექსის რეგულირების საგანია.

რაც შეეხება პროდუქციის გაძვირების რისკს, ნიკა აბუთიძის თქმით, ამას სხვადასხვა პროდუქციით მოვაჭრეთა ვალდებულებები განაპირობებს.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელი ბექა კემულარია ფიქრობს, რომ ახალი კანონი მომხმარებელს უხარისხო, ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციისგან დაიცავს და ძირითადი აქცენტი ხარისხზე გაკეთდება.

**„ყველა ნორმალურ ქვეყანაში კონტროლდება პროდუქცია, რამაც ადამიანზე შეიძლება, უარყოფითი გავლენა მოახდინოს. ეს ეხება როგორც საკვებს, ასევე არასასურსათო პროდუქციასაც. ისეთი პროდუქტები კი, როგორიცაა საწვავი, თამბაქო, ბუნებრივი აირი და სხვა, მავნე გავლენით ხასიათდება და მისი აღმოფხვრა შეუძლებელია, ამიტომ მსგავსი ტიპის საქონელი აქციზით იბეგრება.**

**არ უნდა გვეშინოდეს, რომ კანონის შემოღებამ შეიძლება გამოიწვიოს ფასების ზრდა და მეწარმე დაზარალდეს. ეს არის თემით მანიპულირება. მართალია, უხარისხო ნედლეული გაცილებით იაფია, მაგრამ ჩვენ სიცოცხლის ხარჯზე არ უნდა გავწიოთ რისკი, ამიტომ მიუღებელია პოზიცია, რომ კანონი პრობლემას შექმნის“,** — აცხადებს კემულარია.

**ბექა დანელია**



## ლევან დავითაშვილი:

# თხილის წარმოება ქვეყანაში მზარდია, რადგან სექტორს განვითარების დიდი პოტენციალი აქვს

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ანტონიო ბარტოლის და კომპანიის „Ferrero“ აღმასრულებელ დირექტორს მარკო გონკალვესს შეხვდა.**

„თხილის წარმოება ქვეყანაში მზარდია, რადგან სექტორს განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება. მადლობა მინდა, გადავუხადო კომპანიის „Ferrero“ აღმასრულებელ დირექტორს საქართველოს თხილის სექტორის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თხილის წარმოებაში კომპანიის გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“, — განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა.

როგორც მინისტრმა შეხვედრაზე აღნიშნა, თხილის სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვანია საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის როლი, რომლის ქმედით სტრუქტურად ჩამოყალიბებაში დიდია კომპანიის „Ferrero“ წვლილი.

შეხვედრაზე მხარეებმა ინვაზიური მავნებლის, აზიური ფაროსანას მიერ მიყენებული ზარალის და ბრძოლის სტრატეგიის საკითხიც განიხილეს.

მარკო გონკალვესმა მადლობა გადაუხადა ლევან დავითაშვილს საქართველოში წარმოების განვითარების მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ კომპანია მომავალშიც გააგრძელებს თხილის სექტორში ინვესტირებას. შეხვედრაზე კომპანიის დირექტორმა ღიად დააფიქსირა, რომ მზად არის აქტიურად ითანამშრომლოს იმ მეთხილე ფერმერებთან, რომლებიც სტანდარტების დაცვით აწარმოებენ პროდუქციას, რაც საშუალებას მოგვცემს, დამატებული ღირებულება ადგილზე შეიქმნას.



# სერგეი ლავროვი: საქართველოს პრეზიდენტი რუსეთს მტერს და ოკუპანტს ეძახის, ეს მკაფიო ანტირუსული პოლიტიკაა

**საქართველო რუს დეპუტატებსაც პირდებოდა უსაფრთხოებას, როგორც ახლა რუს ტურისტებს პირდება,** — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა.

**„ჩვენ გვესმის, როგორ ამბობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი მამუკა ბახტაძე, რომ ყველა ჩვენი სტუმარი უსაფრთხოდაა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბატონი გავრილოვი და მისი დელეგაციის წევრებიც სტუმრები იყვნენ და ისინი უსაფრთხოდ არ იყვნენ“,** — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

მისივე თქმით, „რუსეთის დელეგაცია საქართველოში მართლმადიდებლურ საპარლამენტთაშორისო ასამბლეაზე იყო ჩასული, რომლის თბილისში გამართვაც საქართველოს დიდი ხნის წინათ, სურდა“.

**„ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის, ასამბლეის სხდომის გამართვის ადგილი, ასევე ასამბლეის თავმჯდომარე გავრილოვის განთავსება იმპროვიზებული არ ყოფილა. ეს ორგანიზატორებმა, ანუ საქართველოს პარლამენტმა გააკეთა“,** — განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა.

ლავროვმა ასევე ისაუბრა საქართველოს პრეზიდენტზე, სალომე ზურაბიშვილზეც, რომელიც ლავროვმა „ანტირუსული განწყობის“ გაღვივებაში დაადანაშაულა.

**„საქართველოს პრეზიდენტი რუსეთს მტერს და ოკუპანტს ეძახის, ეს მკაფიო ანტირუსული პოლიტიკაა“,** — განაცხადა ლავროვმა.

* * *

**სერგეი ლავროვის განცხადებით, ამერიკელები აკეთებენ ყველაფერს, რათა რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება არ მოხდეს.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, „საქართველოს რამდენიმე დღის წინ სტუმრობდა ჯო ბაიდენის ცენტრის დირექტორი კარპენტერი, რომელიც აქტიურად მუშაობდა კულუარებში და ასევე ღიად თქვა, რომ რუსეთთან ურთიერთობების განვითარება არ შეიძლება“.

**„ვშიშობთ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენი ამერიკელი კოლეგები ცდილობენ, გააკეთონ ყველაფერი, რათა არ დაუშვან რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზება. ზოგიერთმა ანალიტიკოსმა ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საქართველოს პარლამენტში მოწყობილ პროვოკაციამდე რამდენიმე დღით ადრე, თბილისს სტუმრობდა ჯო ბაიდენის ცენტრის დირექტორი კარპენტერი. ის აქტიურად მუშაობდა არა მხოლოდ კულუარებში, არამედ საჯაროდაც გამოვიდა მოწოდებით, რომ რუსეთთან ურთიერთობების განვითარება არ შეიძლება. ეს ასპექტი არ უნდა დავივიწყოთ“,** — განაცხადა სერგეი ლავროვმა.

# დედაქალაქის მთავრობის მძიმე, მაგრამ საქმიანი სხდომა

**დედაქალაქის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე თბილისის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა.**




როგორც მან აღნიშნა, 20-21 ივნისს განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობა, როგორც მმართველ გუნდს, ასევე, ყველა იმ პოლიტიკოსს ეკისრება, რომელმაც აქციის მონაწილეებს საქართველოს პარლამენტის შენობაში შეჭრისკენ პირდაპირ მოუწოდა.

**„რუსთაველის გამზირზე ემოციურად ძალიან მძიმე მოვლენებს ჰქონდა ადგილი. სამწუხაროა, რომ კონკრეტული უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების მხრიდან ძალიან ცუდი ფორმებით, ჩვენი ახალგაზრდების გულწრფელი პროტესტის გამოყენება მოხდა. სამწუხაროა ისიც, თუ როგორ განვითარდა მოვლენები. ძალიან მძიმე სანახავი იყო, რაც პარლამენტის სხდომათა დარბაზში მოხდა. ამაზე პასუხისმგებლობა ჩვენს გუნდს ეკისრება და ეს კარგად გვაქვს გააზრებული. რეაგირება მყისიერი იყო — პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ღირსეული ნაბიჯი გადადგა და თანამდებობა დატოვა. ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ განვითარდა მოვლენები იმ საღამოს. ემოციურად ძალიან რთულია ამ ყველაფერზე ისაუბრო იმიტომ, რომ მძიმეა სურათი, რაც მივიღეთ. რა თქმა უნდა, ამაზე პასუხისმგებლობა იმ უპასუხისმგებლო პოლიტიკოსებს ეკისრებათ, რომლებიც ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს პირდაპირ მოუწოდებდნენ პარლამენტში შევარდნისკენ. ამას სამართლებრივი რეაგირება უნდა მოყვეს“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტების ფაქტებსაც და ყველა, შესაბამისად აგებს პასუხს. დედაქალაქის მერმა აქვე სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებსა და მედიის წარმომადგენლებს 20-21 ივნისის მოვლენების დროს თავდაუზოგავი მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, აქციის დროს რუსთაველის გამზირზე მყოფი ბრიგადების ყველა წევრს მადლობის სიგელი და ფულადი ჯილდო გადაეცემა.

* * *

**თბილისის მერმა ტაქსების მიმდინარე რეფორმაზეც გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ავტომანქანის ფერის შეცვლის ვაუჩერის აღების მსურველმა ტაქსის მძღოლებმა შესაბამის კომპანიას 10 აგვისტომდე უნდა მიმართონ. ვაუჩერის გამოყენების ბოლო ვადა მიმდინარე წლის პირველი ოქტომბერია. შესაბამისად, ტაქსების მძღოლებმა ავტომანქანის ფერის შეცვლა (შეღებვა, ან თეთრი ფირის გადაკვრა) პირველ ოქტომბრამდე უნდა განახორციელონ.**

A კატეგორიის ტაქსის ნებართვის მფლობელ პირებს QR-კოდი გადაეცემათ, რომლის საშუალებითაც, მგზავრები მომსახურების საფასურის გადახდას შეძლებენ. ტაქსის მძღოლებმა QR-კოდის მისაღებად, საქართველოს ბანკის ფილიალებს უნდა მიმართონ და ის ავტომანქანის ინტერიერში განათავსონ.

**„ტაქსის მძღოლებისგან დაკომპლექტებულ საინიციატივო ჯგუფთან არაერთი შეხვედრა გვქონდა, რომლის დროსაც სერიოზული პრობლემა გამოიკვეთა — ეს იყო ბანკებთან ურთიერთობა, რადგანაც ისინი სესხის აღებას ვერ ახერხებენ, იმიტომ, რომ შემოსავალი არ უფიქსირდებათ. ბანკებთან კომუნიკაციის შედეგად, შეიქმნა სპეციალური პროდუქტი, რომლის შესახებაც საქართველოს ბანკმა მოქალაქეებს უკვე აცნობა. კონკრეტული საბანკო პროდუქტი ითვალისწინებს ტაქსის მომსახურების საფასურის გადახდას QR-კოდის საშუალებით. QR-კოდი ბანკის მიერ A კატეგორიის ტაქსის ნებართვის მფლობელ პირებს გადაეცემა, რომელიც ავტომანქანის ინტერიერში განთავსდება, მგზავრი კი სმარტფონის მეშვეობით, QR-კოდით, მომსახურების საფასურის გადახდას შეძლებს“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული სერვისის ამოქმედებით, მთავარი დისკომფორტი, რომელიც ტაქსის მძღოლს ხურდის თვალსაზრისით ექმნებოდა, მოიხსნება.

* * *

**კახა კალაძემ ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ ვაკის რაიონში, მრგვალი ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები უახლოეს მომავალში დასრულდება.**

მისი თქმით, სამუშაოების გაჭიანურება ტენდერში გამარჯვებული კონტრაქტორი კომპანიის არაჯეროვანმა მუშაობამ გამოიწვია, თუმცა აღნიშნული კომპანია ჩანაცვლდა და რეაბილიტაციის პროცესს ახალი კომპანია უძღვება.

ახალ კონტრაქტორს მრგვალი ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასასრულებლად სამ კვირაზე ცოტა ნაკლები დაჭირდება და ბაღი მთლიანად განახლდება და მოწესრიგდება. თბილისის მერმა მთავრობის სხდომაზე ბინების დარეგისტრირების პროექტთან დაკავშირებით არსებულ სიახლეზეც ისაუბრა.

**„იცით, რომ დაწყებული გვაქვს ბინების დარეგისტრირების პროექტი და გასული წლიდან დღემდე, საკმაოდ ბევრი ოჯახი გავაბედნიერეთ. ეს ჩემი ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო. ესენი არიან ადამიანები, ვინც წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ კონკრეტულ მისამართზე და გარკვეული პრობლემების, შესაძლებელია, ბიუროკრატიული ბარიერების გამოც, ფართების დაკანონებას ვერ ახერხებდნენ. მათ თბილისის მერია ფართებს სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადასცემს.**

**ამჯერად, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, დიღმის მასივში, VI კვარტალში, №19 კორპუსში მცხოვრებ სამ ოჯახს საცხოვრებელი ფართები სიმბოლურ ფასად გადაეცემა. აღნიშნულ მისამართზე ეს ოჯახები 30 წელია, ცხოვრობენ. ასევე, საცხოვრებელი ფართი სიმბოლურ ფასად გადაეცემა თემქის IV მიკრორაიონში, №5 კორპუსში მცხოვრებ ერთ ოჯახს. აბრამიშვილები აღნიშნულ მისამართზე დაახლოებით, 20 წლის განმავლობაში ცხოვრობენ. ვულოცავ ყველა მათგანს ბინების დაკანონებას“,** — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

* * *

კახა კალაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მერია „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამაში“ ჩართული ბავშვების ასაკს 15-დან 18 წლამდე ზრდის. დღეისთვის, კომპლექსური თერაპიის 20 სეანსი 2-დან 15 წლის ჩათვლით ბავშვებს უფინანსდებათ.

**„ჩვენ ძალიან ბევრი მუშაობა მოგვიწია ცვლილებების განსახორციელებლად. მინდა, მადლობა გადავუხადო, ყველა იმ ადამიანს, რომლებიც ამ ცვლილებების განხორციელებაში იღებდნენ მონაწილეობას. აღნიშნულის შედეგად, თბილისის მერიის დაფინანსებას 18 წლამდე ასაკის მოზარდებიც მიიღებენ. ჩვენ ეს ცვლილებები დარგის სპეციალისტებთან ერთად განვახორციელეთ. მათთან მიმდინარეობდა კონსულტაციები. ბავშვები ასაკობრივ ჯგუფებად არიან დაყოფილი და სეანსები მოიცავს მულტიდისციპლინური გუნდის — ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, ნევროლოგის, ქცევითი თერაპევტის, ლოგოპედის, სპეციალური პედაგოგისა და სხვა სპეციალისტების მომსახურებას. ერთი ბავშვის დასაფინანსებლად, თვეში ვაუჩერის ღირებულება 400 ლარია. პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემდეგ, 12-დან 18 წლამდე მოზარდთა ასაკობრივ ჯგუფში, მულტიდისციპლინური ჯგუფის შემადგენლობაში ბავშვის მშობლის ან მეურვის ჩართვაც იქნება შესაძლებელი. აღნიშნული ცვლილების მიზანია, მშობლის კონსულტირება, სახლის პირობებში ბავშვის დამოუკიდებელი სწავლებისთვის“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

* * *

**თბილისის მერის განცხადებით, უახლოეს დღეებში დედაქალაქში დაავადებული ფიჭვების სანიტარიული ჭრები დაიწყება.** კახა კალაძემ სანიტარიული ჭრების შესახებ საზოგადოება კიდევ ერთხელ გააფრთხილა, რომ შეცდომაში არავინ შეიყვანოს და აღნიშნული ჭრები გადაუდებელი აუცილებლობაა. დედაქალაქის მასშტაბით, 20 000-ზე მეტი დაავადებული და ხმობადი ხე-მცენარის მოჭრის პროცესი უკვე დაწყებულია. სამუშაოებს „ეკოსერვის ჯგუფი“ ახორციელებს. აღნიშნული ხეები, მოჭრამდე, სპეციალური ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე აღიწერა.

# ღვაწლი იაკობისა, მადლი 14 აპრილისა

**ქუთაისი აღებული გვაქვს რახანია ლიტერატურული საღამოებით – როსტომ ჩხეიძე ხან ლექციას რომ ჩაატარებს, ხან – რომელიმე წიგნის განხილვას წარუძღვება, სტუდენტებსა და პროფესორებს შეხვდება, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს, მწერლებს, ლიტერატურით დაინტერესებულ საზოგადოებას.**

**თავყრილობები იმართება სკოლაში, უნივერსიტეტში, ლიტერატურულ სარდაფში ან ველად, ბუნებაში.**

**აი, წყალტუბოში კი პირველად მოგვიწია იქაურ წიგნიერ საზოგადოებასთან შეხვედრა. წყალტუბოში ადრეც ვყოფილვართ, მაგრამ მაშინ ბატონ ოტია იოსელიანს ვესტუმრეთ ბატონი როსტომი, იოსებ ჭუმბურიძე, ელგუჯა თავბერიძე, გიზო თავაძე და მე.**

მაშინ ბატონმა ოტიამ დიდი სიყვარულით ისაუბრა ოთარ ჩხეიძეზე, გაიხსენა თავისი პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე, ლაპარაკობდა საქართველოს მომავალზე... დიდხანს ვისხედით მისი უჩვეულო სახლის ღია აივანზე, მერე ოთახში გადავინაცვლეთ და საკუთარი თხზულებების ათტომეულის ცხრა-ცხრა ტომით დაგვასაჩუქრა (მეათე ჯერ გამოცემული არ იყო). ეს ამბავი წლების წინათ მოხდა.

და აი, 2019 წლის 12 აპრილს კვლავ წყალტუბოში ვართ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მმართველის, ქალბატონი **სულიკო სვანიძისა** და ბატონი **დაჩი იოსელიანის** თაოსნობით ქალაქის საზოგადოება როსტომ ჩხეიძეს მასპინძლობს.

ბიბლიოთეკის მოზრდილი დარბაზი ხალხით გაივსო. ინტერესი დიდია. წყალტუბოელებს არ ესწავლებათ მწერლის მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა.

ბატონი როსტომის მოწვევა ძალიან დაგვიგვიანდაო, – საღამო ასე დაიწყო **სულიკო სვანიძემ**, მერე კი გვიამბო: ერთხელ ოტია იოსელიანთან გახლდით სტუმრად, ზუსტად მახსოვს, 25 თებერვალი იყო. შევნიშნე, რომ მაგიდაზე ედო ოთარ ჩხეიძის ახალი წიგნი და დავინტერესდი, გადავხედე. მკითხა, წაკითხული თუ გაქვსო? ტყუილს ხომ ვერ ვეტყოდი, არა-მეთქი, და აბა, რაის ბიბლიოთეკის დირექტორი ხარო.

უთხოვებია ბატონ ოტიას ის წიგნი, წამოუღია ქალბატონ სულიკოს და თვითონ ხომ სულმოუთქმელად წაუკითხავს, სხვებისთვისაც შეუთავაზებია და სამ თვეში 31 ადამიანი ზიარებია ოთარ ჩხეიძის მდიდარ და უჩვეულო სამყაროს.

ბატონი როსტომი კი დიდი მამის შვილია და მის გზას ღირსეულად აგრძელებსო, – ამ სიტყვებით დაუთმო ადგილი ჯერ **ელგუჯა თავბერიძეს**. მრავალმხრივმა მოღვაწემ (მწერალმა, გამომცემელმა, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართულმა ადამიანმა) და, შეიძლება ითქვას, ბატონი როსტომის შემოქმედების დაუმცხრალმა პროპაგანდისტმა გვითხრა:

თუ ვინმე დღეს ქართლის ბედზე, წარსულზე, მომავალზე ფიქრობს, ერთი უპირველესი როსტომია, უკვე 28 ბიოგრაფიული რომანის ავტორი. ერთ-ერთი პირველი იყო ალექსანდრე ორბელიანზე და ის რკალი შეკრა სოლომონ დოდაშვილით. დოდაშვილი მიაჩნია ილიამდელ ილიად, დღეს კი თქვენ წინაშეა ილიას შემდგომდროინდელი ილია. ჯერჯერობით ბოლო რომანი ერეკლე ტატიშვილზეა. ეს წიგნი ნიცშეზეცაა და ერეკლე ტატიშვილის ღვაწლზეც. ვინც დღეს ამბობს, რომ არ გვყვანან ქართველი მთარგმნელები, ისინი ცოტას ან სულ არ კითხულობენ.

გაოცებული ვარ როსტომის დამოკიდებულებით სიუჟეტისადმი, კომპოზიციური ჩარჩოსადმი. ახერხებს ყველაფრის თქმას. თითქოს რა უნდა ითქვას აკაკიზე ახალი? როსტომმა კი აკაკიზე დაწერა 1200-გვერდიანი რომანი, თან მოუწყინრად საკითხავი. როსტომის ნაწერები ისეთი შთამბეჭდავია, რომ ჩაგითრევს და ვერც გამოეხსნები. მის ყველა ნაწერზე ქართველობამ ბევრი უნდა იფიქროს.

მოკლედ და სახიერად წარმოისახა იმდღევანდელი სტუმრის პორტრეტი, რის შემდეგაც ბიბლიოთეკის დარბაზში შეკრებილნი ინტერესით უსმენდნენ მწერალს, რომლის სულიერი განცდები ძალიან ახლობელია ქართველებისთვის.

* * *

**როსტომ ჩხეიძემ** საუბრის დასაწყისში სიხარული გამოთქვა იმის გამო, რომ როგორც იქნა, წყალტუბოშიც მოუწია მკითხველთან შეხვედრა – იმ ქალაქში, სადაც ოტია იოსელიანის სული ტრიალებს, იქ, სადაც იციან მწერლის ფასი. თუ ერმა არ იცის თავისი საუკეთესო შვილების ფასი, იმ ერს ბევრი რამ აკლიაო. ხოლო კულტურა კი არ უნდა შევინარჩუნოთ, უნდა გავაგრძელოთ, რადგან თავისთავად არაფერი გადმოგვცემია, ინსტინქტებს გამრავლება უნდაო.

მისგან გავიგეთ, ერთხელ ოტია იოსელიანს უთქვამს ოთარ ჩხეიძისთვის: როცა ვწერ, რამდენიმე კაცზე ვფიქრობ, ისინი როგორ წაიკითხავენ და რას იტყვიან, და ერთ-ერთი შენ ხარო, – და ბატონ ოთარს უპასუხნია: მეც ასე ვარ და ერთ-ერთად შენ გგულისხმობო.

სულის თანაზიარობა სხვა კი არაფერიაო, – თქვა ბატონმა როსტომმა.

მერე კი 1978 წლის 14 აპრილი გაიხსენა:

ერთ-ერთი უჩვეულო მოვლენა იყო, რომელმაც შეატრიალა ჩვენი ცხოვრება. თავზეხელაღებულმა ახალგაზრდობამ ბევრი რამ შეცვალა მაშინ. უნივერსიტეტის თავზე იდგა ზარბაზანი. შევარდნაძემ შემდეგ სცადა, საკუთარ თავზე მიეწერა გმირობა.... ის დემონსტრაცია გახლდათ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქტი. ქართული ენის კონსტიტუციიდან ამოღება მანამდე მზადდებოდა გულდაგულ. საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ, დაიწყო ბრძოლა ეროვნული ტრადიციებისა და ეკლესიის წინააღმდეგ. ბევრი გულუბრყვილო ადამიანი აჰყვა ამ განწყობას, ეგონათ, ტრადიციებსა და ეკლესიას კი არ ებრძვის, არამედ დრომოჭმულობასო. ოთარ ჩხეიძე მაშინვე მიხვდა ხელისუფლების მზაკვრულ და ულმობელ ჩანაფიქრს და ეუბნებოდა კიდეც მეგობარ მწერლებს, ხვალ ქართული ენა გამოცხადდება დრომოჭმულ ტრადიციადო.

14 აპრილის წინააღმდეგობრივი გამოსვლის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანა ზვიად გამსახურდიას მიერ გამოცემულმა ჟურნალებმა („ოქროს საწმისი“, „საქართველოს მოამბე“). ეს ჟურნალები გამაოგნებელი აღმოჩნდა ხელისუფლებისათვის, არ აპატიეს და დაიჭირეს. ასე რომ, თვითონ ზვიადი ამ დროს დაპატიმრებული იყო, მაგრამ გარეთ რომ ყოფილიყო, შეიძლება იმხელა გავლენა ვერ მოეხდინა პროცესებზე, რამხელასაც ციხეში მყოფი ახდენდა, რაკიდა მისი სახელი გმირის შარავანდედით შემოსა.

სხვათა შორის, ორატორისგან ერთი უცნაური ფაქტიც გავიგეთ. თურმე ილია შიოლაშვილის კათალიკოსად არჩევაში (მთავრობის მიერ შერჩეული კანდიდატურის გაიოზ კერატიშვილის ნაცვლად) ზვიად გამსახურდიას შეუტანია დიდი წვლილი.

ზვიადი თურმე იმ ცნობილ მონანიებას დათანხმდა იმ პირობით, თუ პატრიარქი გახდებოდა ილია II. ამით, მართალია, მოხდა ზვიადის დისკრედიტირება, მაგრამ მერე მერაბ კოსტავას გადასახლებიდან დაბრუნებამ უშველა.

78 წლის 14 აპრილს ერთი გამოკვეთილი მეთაური არ ჰყოლია. დიდი როლი ითამაშა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა. სხვა უმაღლესების სტუდენტები მათ აიყოლიეს. ნაკადები მოედინებოდა რუსთაველზე, მათი შეჩერება უკვე შეუძლებელი იქნებოდა და იძულებულნი გახდნენ, დათმობაზე წასულიყვნენ. ასე დატოვეს ქართული ენა კონსტიტუციაში. 14 აპრილს ზვიადის როლი ზედაპირზე არ ჩანს, თუმცა, ფაქტობრივად, ფარულად მან განსაზღვრა ეს დღე.

ქართული ენის შესახებ დაწყებული ლექცია ისევ იმავე თემით გაგრძელდა. ახლა ბატონმა როსტომმა XIX საუკუნელები გაიხსენა და თქვა, რომ ახალი, თანამედროვე ქართული ენის ჩამოყალიბება ოთხმა ადამიანმა განსაზღვრა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა და ივანე მაჩაბელმა. ამ დღებულების მსმენელისთვის გაცნობას მოჰყვა იაკობ გოგებაშვილის ღვაწლის შედარებით ვრცლად წარმოჩენა. ლექციის, ასე ვთქვათ, მეორე ნაწილის თეზისური ჩანაწერი კი ასეთი გამოვიდა:

იაკობ გოგებაშვილმა XIX საუკუნეში შემოატრიალა არსებული მდგომარეობა. „დედაენა“ და „ბუნების კარი“ რომ არა, ქართული ენა იკარგებოდა. სკოლა და ეკლესია გარუსებული იყო. მარტო კაცი დაუდგა წინ მთელ იმპერიას და გაიმარჯვა. ჭლექით დაავადებულმა, თავს იმის გამო მოუარა, რომ ენა გადაერჩინა. „ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იაკობის ღვაწლთან შედარებითო“, – აკაკი წერეთელმა თქვა. ღმერთო, ისე არ მომკლა, სანამ სკოლას არ გავაქართულებო, – ასე ევედრებოდა ღმერთს იაკობ გოგებაშვილი. იაკობის მასწავლებელი გაბრიელ ეპისკოპოსი გახლდათ. მას დიდი როლი აქვს იაკობის სულიერ და მსოფლმხედველობრივ ჩამოყალიბებაში.

თითქოს თვალდათვალ დავინახეთ, როგორ ებრძოდა იმპერია, როგორ აკრძალა სასწავლებლებში ყმაწვილების ცემა. კომისიამ როგორ ამოხია ფურცლები დავთრებიდან, რათა მისთვის დაებრალებინათ, როგორ განიცადა ეს და გადახტა მტკვარში, როგორ გადაარჩინა სანდრო ცხვედაძემ, რის შემდეგაც მთელი წელი ფსიაქიატრიულში გაატარა. მერე როგორ დაწვა ყველა დოკუმენტაცია, როგორ გაგრძელდა შეურიგებელი, უკომპრომისო ბრძოლა იმპერიის წინააღმდეგ და როგორი გამაოგნებელი ტრიუმფით დაამთავრა.

დიდხანს ეძებდა თურმე „დედაენის“ დასაწყისს. გაბრიელ ეპისკოპოსს უთქვამს, ღმერთი ბავშვის პირით გიკარნახებსო, და კიდეც მათგან გაიგონა ღვთაებრივი: აი ია.

ბატონი როსტომი იმასაც მოგვიყვა, როგორ გადაურჩა იაკობი იარაღმომარჯვებულ რუს ჯარისკაცს ბიბლიოთეკაში დამალვით. იმ რუსს, ალბათ, წიგნების ალერგია ჰქონდა და ბიბლიოთეკაში აღარ შეჰყოლიაო. როცა ილია საქართველოში არ იყო, „ივერიისთვის“ მოწინავეებს იაკობიც წერდა თურმე.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იდეა ილიას არ ეკუთვნოდა. იოსებ მამაცაშვილის სალონში შეიკრიბნენ იაკობ გოგებაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ჩარიეს დიმიტრი ყიფიანი და იდეაც მათი იყო. I პუნქტად იმის ჩაწერა, რომ სწავლა სკოლებში ქართულ ენაზე უნდა დაწყებულიყო, იაკობის დაჟინებული მოთხოვნა გახლდათ (სხვებს ეშინოდათ, ვაითუ ამ პუნქტის გამო საერთოდ საზოგადოების შექმნაზე გვითხრან უარიო).

იაკობი მიხვდა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობისთვის აუცილებელი იყო ევროპის მხარდაჭერა. ეროვნულ კომიტეტს, რომელმაც მოაგვარა გერმანიასთან ურთიერთობა და არსებითად განსაზღვრა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, იაკობმაც ჩაუყარა საფუძველი. ის, რაც მოხდა 1918 წლის 26 მაისს, ერთი წლით ადრე შეიძლებოდა გამოცხადებულიყო. მაშინ ნოე ჟორდანიამ არ ქნა. და როცა იძულებული გახდა, გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, კიდეც ატირდა ირაკლი წერეთელი, აწი რა გვეშველებაო...

* * *

ქალბატონმა სულიკომ კიდევ ერთხელ მადლობა გადაუხადა სტუმარს და დამსწრეთ მისცა საშუალება, საუბარში ჩართულიყვნენ.

**სოფიო ყანჩაველი** დაინტერესდა, იაკობ გოგებაშვილმა ხომ თვითონაც არაერთხელ შეცვალა თავისი სახელმძღვანელო და ჩვენ რად დაგვიჟინია, მაინცდამაინც იაკობის სახელმძღვანელოთი უნდა დავიწყოთ სწავლებაო.

ბატონმა როსტომმა პასუხად „დედაენას“ ჩვენი სახარება უწოდა. მისი რევიზია ახალი აღთქმის რევიზიას შეადარა. აღნიშნა, რომ დედაენა დღესაც ცოცხალი წიგნია, რომელიც მსოფლმხედველობასაც გიფართოებს და ცოდნასაც გაძლევს. უმნიშვნელო ცვლილებების შეტანა, ახალი დროის შესაფერისად, დასაშვებად მიიჩნია, მხოლოდ იმ პირობით, რომ უცვლელი დარჩეს სტრუქტურა.

**თეიმურაზ ჯანელიძე** სოფელ ჩუნეშიდან ჩამოსულა, ნიკო ლორთქიფანიძის სოფლიდან. გაიხსენა, 90-იან წლებში, როცა ძალიან გაუჭირდა ოჯახს, თურმე სამუშაოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დადიოდა. ერთხელ მეგობარს უთქვამს, ყელქცეულში ერთი კარგი კაცი უნდა გაგაცნო. ხეივანი აქვს დასაკრეფიო (იმერეთში ტალავერს ეძახიან). ასე მოხვედრილა ოთარ ჩხეიძესთან.

ბატონი თეიმურაზი ფილოლოგი არ გახლავთ, მაგრამ ძალიან უყვარს ლიტერა-



ტურა. ამ სიყვარულმა გააერთიანა იმ დღეს თურმე სტუმარ-მასპინძელი, შეჰყოლიან საუბარს და ბატონ ოთარს გვიანობამდე არ გამოუშვია. ზეპირად უთქვამს ყურძნის მკრეფავს მწერლის სიტყვები: ამხირებიან კრიტიკოსები და ავხირებივარ მეც ჩემი მხრითაო... ბევრი უსაუბრიათ ოტია იოსელიანზე. დიდი მწერალიიაო, – უთქვამს ბატონ ოთარს... ბატონმა როსტომმაც დაადასტურა, მაღალი წარმოდგენისა იყო მასზე და ერთმანეთთან მეგობრობდნენო.

გუბისწყლიდან ჩამოსულმა სტუმარმა **ნანა ჩაბრაძემ** იკითხა: ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ რომ არ გამოდის, დიდი დანაკლისია ქართველი მკითხველისთვის და ხომ არ იგეგმება მისი აღდგენაო?

ბატონმა როსტომმა განმარტა, რომ ეს ჟურნალიც და ტელევიზიაც შეეწირა მთავრობის დაპირისპირებას „ომეგა ჯგუფთან“. იქვე იმედი გამოთქვა, რომ სასიკეთოდ შეიცვლება ყველაფერი და ჟურნალი „ომეგაც“ აღდგება, პირველი ფერადი ჟურნალი.

**ბეჟან კოღუაშვილი** დაინტერესდა: როგორ ახერხებს მწერალი ისეთ ხალხზე დაწეროს რომანები, რომელთა შესახებაც ჩვენ თითქმის არაფერი ვიცით, მასალებს სად ან როგორ პოულობს და სხვა.

ევროპელი მწერლები რომანის დასაწერად მარტო მხატვრულ ქარგას ეძებენო, – უპასუხა ბატონმა როსტომმა. ჩვენ კი მკვლევარებიც ვართ და მწერლებიც. მასალები სულ არქივში მაქვს ნაძებნი. მამაჩემის დამსახურებაცაა, რა თქმა უნდა. ბევრი ისეთი რამ იცოდა, რაც საერთოდ ცნობილი არ იყო და მე მისგან გადმომეცა. ამბების, მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება, საერთო ძაფის აღდგენა და გამთლიანება ადვილი არ არის. უამრავი რამის წაკითხვა მიწევს, რათა ერთი შეხედვით წვრილმანი რამ დავინახოო...

**ნინო ლექვთაძემაც** გულწრფელი მადლობა გადაუხადა სტუმარს და აწ გარდაცვლილი და სიცოცხლეში ნაკლებად დაფასებული პოეტი თორნიკე ერისთავი გაიხსენა, რომლის შესახებაც როსტომ ჩხეიძის დაწერილი ესეი პოეტის წიგნსაც დაერთო და გაზეთ „უქიმერიონის“ ფურცლებზეც გამოქვეყნდა. და ბატონმა როსტომმაც სინანულით აღნიშნა, რომ დაუფასებელი პოეტი იყო. ამ სინანულმა კი გვაგრძნობინა, რომ თორნიკე ერისთავის სახელის წარმოსაჩენადაც ისევ ბატონი როსტომი გაირჯება ელგუჯა თავბერიძესთან ერთად და სხვებსაც აიყოლიებს.

**თეა გიორგაძემ** წუხილი გამოთქვა შერყვნილი ქართულის გამო. გაიხსენა, ბატონი ოტია (თეა ოტია იოსელიანის რძალია, დაჩის მეუღლე) როგორ წუხდა, დამცრობილ-გადაგვარებული ქართულის გამო. რა გადაარჩენს, თქვენ როგორ ფიქრობთო? – მიმართა მწერალს.

პასუხად ბატონმა როსტომმა რწმენა გამოთქვა, რომ ენის გადარჩენა მწერლებზეა დამოკიდებული და არა რომელიმე ოფიციალურ დაწესებულებაზე, მათ შორის არც ენის პალატაზე. მხოლოდ მწერლობა დასახა ენის პატრონად.

მეც მომეცა საშუალება რამდენიმე სიტყვის თქმისა. შევეცადე, მოკლედ მესაუბრა ასეთი შეხვედრების და, კერძოდ, იმ დღის მნიშვნელობაზე, ბატონი როსტომის წვლილზე ბიოგრაფიული რომანის დამკვიდრებაში, მწერლისა და მეცნიერის მრავალმხრივ და მრავალფეროვან მოღვაწეობაზე. უშუალოდ ჩემი შთაბეჭდილებებიც გავუზიარე საზოგადოებას.

შეხვედრას ესწრებოდნენ: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი **გრიგოლ იოსელიანი**, კულტურის სამსახურის უფროსი **ბადრი პაპავა** და სხვა ოფიციალური პირნიც. ბატონმა ბადრიმ დაასრულა საღამო იმის აღნიშვნით, რომ ასეთი შეხვედრებიეროვნული სულისკვეთების აღორძინებას უწყობს ხელს.

როსტომ ჩხეიძის მიზანი და თუ გნებავთ, მისიაც ეს არის, ილიას მიერ დასამახსოვრებლად გამოთქმული: „ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არ ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობლად.“

იქნებ ხანდახან თვითონაც გაჰკრავს ხოლმე ეჭვი: შევიძლებ კი? ჩვენ კი დარწმუნებული ვართ, რაც არ შეუძლიათ ჩვეულებრივ ადამიანებს, შეიძლებენ უფლის მადლით ძალმოცემულნი...

**ნინო ვახანია**

# რატომ უნდა დავფიქრდეთ, სანამ ვიფიქრებდეთ?..

**252**
ქალა თავისი სუსტი მხარით არის საშიში.

**253**
სიმსუბუქესაც თავისი ხვედრითი წონა აქვს.

**254**
ვინც ფეხშიშველი დადის, იმისთვის გზა ია-ვარდებით მოფენილი როდია.

**255**
უფრო ხშირად გასასვლელი იქ არის, სადაც შემოსასვლელი იყო.

**256**
ფსიქიატრი თუ არა ხარ, იდიოტებს ნაცნობობას ნუ გაუბამ. ისინი არც ისეთი სულელები არიან, რომ არასპეციალისტს ფული გადაუხადონ.

**257**
სინდისის ხმასაც თავისი გარდატეხის ხანა აქვს.

**258**
ნახე, ვინმეს მღელვარება არ მოგაწვეს ყელში.

**259**
მარტოობავ, რარიგ ჭარბად ხარ დასახლებული!

**260**
ტალახიდან დასკვნების გამოტანა საჭირო არ არის.

**261**
ხან იმდენად ბნელი ღამეა, რომ ვერცა ხედავ.

**262**
აბსტრაქციას გამოსახვის ყველაზე მეტი ფორმა აქვს.

**263**
თამამი მწერალია! წერტილი ისე დასვა, წინადადება არც კი დაუწერია.

**264**
კაპიტანი გემიდან სულ ბოლო ჩამოდის. აი, რატომ სძინავთ ქარიშხლიან ამინდში ადმირალებს ასე მშვიდად.

**265**
დამამშვიდებელ პერანგსაც სიგიჟის ზომისდა მიხედვით კერავენ.

**266**
ქარები გზის მაჩვენებლებს ცვლიან.

**267**
ყველას როდი შეუძლია მომავლის მუსიკაზე ცეკვა.

**268**
ზოგჯერ ხდება, მედროშე სხვა მხარეს მიექანება, დროშა სხვა მხარეს.

**269**
ბოლოსწინა მოჰიკანი ხშირად ბოლო მოჰიკანს კლავს, რათა თვითონ გახდეს ბოლო.

**270**
თავს იმ მოჩვენებად გრძნობდა, რომელიც ჯერ არავის მოსჩვენებოდა.

**271**
ცხოვრება ძალზე ბევრ დროს ართმევს ადამიანებს.

## დაუვარცხნელი აზრები

ყველაფერი ადამიანის ხელშია, ამიტომ ხშირად უნდა ვიბანდეთ ხელებს



ასე ამბობდა სტანისლავ ეჟი ლეცი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

**272**
დროის სული ათეისტებსაც მოევლინება ხოლმე.

**273**
ყველა ღმერთი უკვდავი იყო.

**274**
ყაჩაღები აზრის გზებზეც არიან ჩასაფრებულნი. ჩანს, ისინიც ინტელექტუალისტებად გრძნობენ თავს.

**275**
ბევრ ნულს თავისი თავი ელიფსი ჰგონია, რომლის მიხედვითაც ბრუნავს ეს ქვეყანა.

**276**
ვისაც სინდისი არა აქვს, უსინდისობით უხდება ამის ანაზღაურება.

**277**
იდეების ბრძოლაში ადამიანები იღუპებიან.

**278**
ვინც უდანაშაულოა, ადგეს და პირველმა ისროლოს ქვა. მახეა დაგებული: მაშინ, აღარც ის იქნება უდანაშაულო.

**279**
ნათელმხილველნი თვალდაბნელებულნი არიან.

**280**
რა ცოტაღაა სოკოს შეჭამანდში ტყის მშვენიერება დარჩენილი!

**281**
ყოველი ბუჩქი შეიძლება რომ გახდეს უწვავი მაყვლოვანი, ოღონდ შენი წარმოსახვის ცეცხლის წაკიდება შეიძელი.

**282**
ხალხნო, ერთმანეთისგან პირს ნუ ვიბრუნებთ! ვინ იცის, იქნებ, სულაც ცალი მხრიდან ვართ შეღებილნი.

**283**
ასე მოკლედ რატომ ვწერ? რატომ და, სიტყვები არა მყოფნის.

**284**
როდის გავუშვებთ აზრმავალს ჩვენი გონების მიღმა?

**285**
ვარშავა. ოკუპაცია. სისხამი დილაა. ჟანდარმის პოსტის მახლობლად კედელზე ესეს არის საღებავით მიუწერიათ: „გაუმარჯოს თავისუფლებას!“ „რა თქმა უნდა“, – ჩაილაპარაკა ცნობილმა ლოგიკოსმა X-მა, რომელიც ჩემთან ერთად არალეგალური ღამის თევიდან ბრუნდებოდა.

**286**
მოთმინება უნდა მოიკრიბო, რათა მომთმენობა ისწავლო.

**287**
ოცნებისგან შეიძლება რომ მურაბა მოხარშო; საჭიროა მხოლოდ ხილისა და შაქრის დამატება.

**288**
მონუმენტები უმეტესად ქვისაა.

**289**
უიღბლო კაცს ძილშიც კი ის ესიზმრება, რომ ჯერ კიდევ ამთქნარებს.

**290**
გახსოვდეთ: ნომერი მხოლოდ მონადირესა აქვს, ნანადირევს – არა.

**291**
ნაცნობი ავთარი რამდენიმე წლის შემდეგ ციყვად თუ შეიცანი, ამ ამბავმა ერთი წუთით მაინც ჩაგაფიქროს.

**292**
ყოველი შინაბერა ოდესღაც ახალგაზრდა ქალიშვილი იყო.

**293**
თოფი გაუტენელიც საშიშია, შეუძლიათ, რომ დაგცხონ და თავი გაგიხეთქონ.

**294**
მოსახლეობა რაც უფრო წვრილფეხაა, მით უფრო დიდი ეჩვენება იმპერია.

**295**
გულსაკლავია, როცა შენი ყველაზე ძვირფასი არსება სხვებისთვის მხოლოდ პრობლემის არსია.

**296**
არამართლმსაჯულების მახვილი მუდამ საკადრისის ხელშია.

**297**
თუ ასე ძვირი გვიჯდება, მერე რა ვუყოთ, რომ წარმავალია ცხოვრება!

**298**
ერთ ინდივიდუალობას ხან შეიძლება რომ მთელი დაწესებულება ეყრდნობოდეს.

**299**
რის წარმოდგენაც შეუძლებელია, ხშირად ყიდვაა შესაძლებელი.

**300**
დაფიქრდი, სანამ იფიქრებდე!

**301**
გულგრილობის ზღვა ღელავს.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №119-122, 124-125

# რუსი ტურისტების რიცხვის მოსალოდნელი შემცირების ზარალი და სარგებელი

**პოლიტიკისა და ტურიზმის ერთმანეთში არევა არ შეიძლება. ასე გამოეხმაურა „კარენტ ტაიმის" გამოკითხვას ერთ-ერთი რუსი ტურისტი, რომელიც მეორე დღეა, იმყოფება საქართველოში. იგი ფიქრობს, რომ რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილება რუსეთ-საქართველოს შორის ავიამიმოსვლის შეჩერების შესახებ, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის მოქალაქეებს დააზიანებს.**

მიმდინარე წლის 5 თვის მონაცემებით, საქართველოში რუსეთიდან 550 000 ადამიანია შემოსული. წლის ბოლომდე მათი რიცხვის 2 მილიონამდე ზრდა იყო მოსალოდნელი. ექსპერტების შეფასებით, რუსეთის პრეზიდენტის ბრძანების შემდეგ მათი რაოდენობა, ყველაზე პესიმისტური გათვლებით, სავარაუდოდ, განახევრდება. ასეთ შემთხვევაში ტურისტული შემოსავლები 250-300 მილიონი ლარით შემცირდება. ასე რომ, რუსი ტურისტების გარდა, დაზარალდებიან მათი ქართველი მასპინძლებიც, თუმცა ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამ ზარალს დააბალანსებს სარგებელი, რომელიც ბაზრის დივერსიფიკაციაზე სერიოზულ ზრუნვას გულისხმობს.

მოდუნებული ყურადღების შედეგი – სიგნალი ბაზრის დივერსიფიცირებისთვის

**„ბოლო წლებში ყველაზე მზარდი რუსეთიდან ჩამოსული ვიზიტორების რაოდენობა იყო. ჩვენ შევჩერდით მხოლოდ ტურისტული ნაკადების ზრდაზე და აღარ გავაგრძელეთ იმის ანალიზი, რა საფრთხეებს ატარებს ტურისტული ნაკადების მზარდი შემოდინება ქვეყნიდან, რომელიც ოფიციალურად გამოცხადებული მტერია"**, – გვითხრა PMC კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა **გიორგი ხიშტოვანმა.** მისი შეფასებით:

- მისაღებია სტრატეგია რუსეთიდან საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების დამაზარალებელი პოლიტიკის პრევენციისთვის;
- პროაქტიულად უნდა დაიწყოს მუშაობა ტურისტული ნაკადების დივერსიფიცირებისთვის;
- მთავრობამ უნდა იზრუნოს, რომ დამოკიდებულება რუსეთის ბაზარზე არ გახდეს იმხელა მოცულობის, რომ პოლიტიკურადაც შეგვეკრას ხელ-ფეხი.

გიორგი ხიშტოვანი ვარაუდობს, რომ საქართველოსთან ავიამიმოსვლის აკრძალვით, რუსეთმა ქვეყანას მისცა სიგნალი, რომ შესაძლოა, ისევ დაიწყოს ემბარგოების სერია. მისი შეფასებით, ტურიზმისგან განსხვავებით, მაგალითად, ღვინის ნაწილში საქართველო იმდენადაა დამოკიდებული რუსეთის საექსპორტო ბაზარზე, რომ მისგან გათავისუფლება უკვე ძნელია – დღევანდელი მოცემულობით საქართველოდან ალკოჰოლური სასმელების ექსპორტში რუსეთის ბაზარს 70 პროცენტი უჭირავს. საავიაციო ემბარგოს შემდეგ დღეს 24 ივნისს „როსპოტრებნადზორმა" საქართველოდან რუსეთის ტერიტორიაზე იმპორტირებულ ალკოჰოლურ სასმელზე კონტროლიც გაამკაცრა. განცხადების თანახმად, „დინამიკა აჩვენებს, რომ საქართველოდან რუსეთში შესული ალკოჰოლური სასმლის ხარისხი გაუარესებულია. 2014-2018 წლებში გაზრდილია იმ პროდუქციის რაოდენობა, რომელიც არ აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტებს".



განცხადებაში ჩამოთვლილია ის კომპანიები, რომლებიც „როსპოტრებნადზორის" ინფორმაციით, ვერ აკმაყოფილებენ შესაბამის სტანდარტებს. ესენია: „ბაგრატიონი 1882; „ბოლერო ენდ კომპანი", „კახეთის ტრადიციული მეღვინეობა", „ბადაგონი", „ქართული ღვინის სახლი", კორპორაცია ქართული ღვინო", „ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია", „ბატონო". ამ კომპანიების პროდუქტი „როსპოტრებნადზორის" ინფორმაციით, არ იქნა დაშვებული რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე.

რეკომენდაციები მთავრობას

**„რუსეთიდან რაღაც მომენტში, რომელიღაც სექტორთან ან ინდუსტრიასთან დაკავშირებით გარდუვალი იყო იმგვარი ქმედება, რაც ხდება ბოლო სამი-ოთხი დღეა"**, – უთხრა რადიო თავისუფლებას Forbes Georgia-ს მთავარმა რედაქტორმა გიორგი ისაკაძემ. მისი შეფასებით, ეს აბსოლუტურად სუბიექტური გადაწყვეტილებები ხაზს უსვამს სწორედ იმ გარემოებას, რამდენად არასტაბილურია რუსეთის ბაზარი. ოფიციალური სტატისტიკა კი, რომელიც მას მოაქვს, ადასტურებს ობიექტურ რეალობას – რუსი ტურისტი საქართველოში სხვა ქვეყნების ტურისტებთან შედარებით ნაკლებად მომგებიანია, რადგან ნაკლებ თანხას ხარჯავს:

- რუსეთი –1350 ლარი
- აშშ – 3047 ლარი
- ბრიტანეთი – 3189 ლარი
- ისრაელი – 2047 ლარი
- უკრაინა – 1659 ლარი
- ირანი – 2071 ლარი
- გერმანია – 2046 ლარი
- არაბთა გაერთიანებული საამიროები – 2719 ლარი
- ყაზახეთი – 1956 ლარი
- პოლონეთი – 2183 ლარი
- ესპანეთი – 2541 ლარი.

გიორგი ისაკაძის თანახმად, საავიაციო ემბარგო მოკლევადიან პერიოდში შემოსავლების კლებას გამოიწვევს და აისახება ქვეყნისა და სასტუმრო სექტორში ჩართულ მოსახლეობაზე, განსაკუთრებით შავი ზღვისპირეთში. იგი აკეთებს პროგნოზს იმის შესახებაც, რომ რუსი ტურისტების ნაკადის მოსალოდნელი შემცირება ეკონომიკას დიდ ზიანს ვერ მიაყენებს. მისი აზრით, მთლიანი შიდა პროდუქტი 1 პროცენტზე მეტად არ შემცირდება.

**„თქმა იმისა, რომ აქედან ვერ გამოვალთ, ან გამოვალთ წაგებულნი, არის აბსურდი",** – აღნიშნავს იგი და მიიჩნევს, რომ სახელმწიფო რამდენიმე მიმართულებით უნდა გააქტიურდეს:

- გააგრძელოს წერტილოვანი და მიზანმიმართული, ძალიან აგრესიული მარკეტინგული და პიარ-კამპანია ტურისტების მოსაზიდად;
- მათ შორის პოპულარული პერსონების ჩამოყვანით საქართველოში, იქნებიან ეს ბლოგერები თუ სხვა ცნობილი პირები;
- უნდა შეთანხმდეს შეღავათების კონკრეტული პაკეტი, რათა ამ სექტორში დასაქმებულებს მდგომარეობა შეუმსუბუქდეთ.

შესაძლოა, ეს იყოს საგადასახადო თუ სხვა რაიმე ტიპის სუბსიდირებაც

რეკომენდაციების მიუხედავად, ჯერჯერობით ეგრეთ წოდებული რუსული ტურისტული ემბარგოს შესაბამისი სამოქმედო გეგმა არც ტურიზმის ეროვნულ სააგენტოში აქვთ და არც საქართველოს მთავრობაში. კონსულტაციები ტუროპერატორებთან და სასტუმრო სექტორში დასაქმებულ პირებთან ახლახან დაიწყო.

**ნონა მჭედლიშვილი**

---

# რუსული ბიზნესი უფრო მეტად ხეირობს ქართული ბაზრით, ვიდრე საქართველო!

**ეკონომიკის დოქტორი რატი აბულაძე „კომერსანტთან" ივნისის ქართულ-რუსული ურთიერთობებს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკური თვალსაზრისით აფასებს. მისი განცხადებით, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. პოლიტიკურმა შეცდომებმა გაამწვავა პოლიტიკური კონფრონტაცია. შედეგად მივიღეთ ტურისტული ემბარგო, რომელიც ასახვას პოვებს მოსახლეობის შემოსავლებზე, საქმიან და სამომხმარებლო აქტივობაზე. შემოსავლები შეუმცირდება განთავსების ობიექტებს, კვების ობიექტებს, ტრანსპორტს (სახმელეთო, სარკინიგზო, საავიაციო), ტურისტულ კომპანიებს და ჯამში საქართველოს ეკონომიკას.**

**პოლიტიკური თვალსაზრისით.** პოლიტიკურ გარემოს პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც საკუთარი საზოგადოების წინაშე, ასევე საერთაშორისო ეკონომიკური და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გაურესების გამო. საერთაშორისო ასპარეზზე შეილახა ქვეყნის იმიჯი, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება ქვეყანაში, საფრთხის ქვეშ დადგა ქვეყნის კურსი, გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა საერთაშორისო პარტნიორობა (ანსამბლეაში 25 ქვეყნის დელეგაცია მონაწილეობდა). ამასთან, პროცესების ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები აისახება, როგორც მოკლევადიან ისე გრძელვადიან პერსპექტივაში.



როგორც აბულაძე განმარტავს, რუსეთი ფლობს მნიშვნელოვან ეკონომიკურ ბერკეტებს, რომელსაც იყენებს, როგორც პოლიტიკურ ინსტრუმენტს. სტატისტიკა აჩვენებს, რომ რუსული ბიზნესი უფრო მეტად ხეირობს ქართული ბაზრით, ვიდრე საქართველო. თუმცა მცირე ეკონომიკის პირობებში შემოსავლის წყაროების დაკარგვა უფრო მტკივნეულად აისახება ქართველ მოქალაქეებზე და ბიზნესზე. შესაბამისად, თუ არსებულ ემბარგოს პირობებში დამატებით ზომებსაც გავითვალისწინებთ (მედიაში გავრცელდა ინფორმაცია დამატებითი ზომების მიღების შესახებ) ეკონომიკური ზიანის მასშტაბები ქვეყნისთვის არასახარბიელო იქნება, მაგრამ კატასტროფული არა.

დღეს საქართველო-რუსეთის ეკონომიკური მოცემულობა აჩვენებს შემდეგს:

- რუსეთი განიხილება, როგორც უმსხვილესი ექსპორტიორი ქვეყანა. საქართველოდან რუსეთში ექსპორტის სახით 5 თვეში გავიდა 218.5 მლნ დოლარის პროდუქცია (2019 წლის იანვარ-მაისში). 2018 წელს გავიდა 437.3 მლნ დოლარის პროდუქცია, ხოლო 2017 წელს – 396.6 მლნ $ პროდუქცია. **რუსული საექსპორტო ბაზარი სასწრაფოდ უნდა ჩანაცვლდეს სხვა ბაზრებით, იმისათვის, რომ ძალიან არ დაზარალდეს ქართული ბიზნესი და შესაბამისად ეკონომიკა;**
- რუსეთი განიხილება, როგორც უმსხვილესი იმპორტიორი. რუსეთიდან საქართველოში იმპორტის სახით 5 თვეში შემოვიდა 349,5 მლნ დოლარის პროდუქცია (2019 წლის იანვარ-მაისში), 2018 წელს შემოვიდა 935.6 $ მლნ-ის პროდუქცია, 2018 წელს – 786.8 $ მლნ-ის პროდუქცია. **საიმპორტო ბაზრის დივერსიფიცირებისას, სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი პროდუქციის ფასები (ასევე ხარისხი) საზოგადოებისათვის მისაღები უნდა იყოს;**
- რუსეთის ფედერაციიდან შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა შეადგენს 14.3 მლნ დოლარს (2019 წლის I კვარტალში), 2018 წელს შეადგინა - 60 მლნ$, 2017 წელს – 43.7 მლნ$; ინვესტიციების მოცულობა დიდი არაა, თუმცა ეკონომიკური აქტივიზაციაში გარკვეულ როლს ასრულებს;
- მხედველობაშია მისაღები რუსული კაპიტალი ქართულ ბიზნესში. მათ შორის: ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ტელეკომუნიკაციის, მრეწველობის, საფინანსო სექტორის, სამშენებლო ბიზნესის, ნავთობპროდუქტებისა და კვების პროდუქტების ბაზარზე;
- ოფიციალური მონაცემებით, რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს 450 ათასი ქართველი მიგრანტი (2017 წ). არაოფიციალური მონაცემებით 1 მლნ-ზე მეტია. მათ გზავნილებზე ბევრი ქართული ოჯახის ბედია დამოკიდებული;
- სოლიდურია რუსეთიდან შემოსული თანხები. ფულადი თანხების გადმორიცხვის მოცემულობამ 4 თვეში შეადგინა 128.9 მლნ $ (2019 წლის იანვარ-აპრილში), 2018 წელს შეადგინა 457,1 მლნ $, ხოლო 2017 წელს - 455.4 მლნ$; **სანამ სიღარიბე არ დამარცხდება და დასაქმებისათვის მიმზიდველი ქვეყანა არ გავხდებით, მანამ სხვა ქვეყნებიდან ფულადი თანხების გადმორიცხვაზე ვიქნებით „დამოკიდებული";**

ჯამში, მხოლოდ არსებული ციფრების დაჯამებით ეკონომიკური დანაკარგების სრულ სურათს ვერ მივიღებთ. საქმიანი და სამომხმარებლო აქტივობის შენელება, მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში კონტრაქტების შეჩერება, რუსული პოლიტიკისა და აგრესიის ზრდა გაცილებით დიდი ეკონომიკური მასშტაბისაა, ვიდრე გაჟღერებული ციფრებია.

სამწუხაროდ, ქართულმა პოლიტიკურმა გარემომ ვერ გაითვალისწინა წარსული გამოცდილება, ვერ უზრუნველყო ბაზრის დივერსიფიცირება და ქვეყნის იმგვარი მზაობა, რომ რუსული ბერკეტების კვლავ ამოქმედებით ქვეყანას ზიანი ისევ არ მისდგომოდა. შედეგად ქართული ბაზარი და ბიზნესი აღმოჩნდა ეკონომიკური დარტყმის ქვეშ, რომლის მასშტაბები სოლიდური იქნება (თუ მყისიერი ნაბიჯები არ გადაიდგა).

**სოფო ქსოვრელი**

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ვაჟა დვალიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 45, ბინა 46 (საკადასტრო კოდი: 03.04.30.439.01.503).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 62493.08 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 26 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 9 ივლისი, 17:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60931619;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 609316

6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;
ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;
მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ
გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60931619; ლოტის ნომერი: 609316).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 9 ივლისის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მაია ებანოიძის და ნატალია დვალიშვილის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:**
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილზე, საქ. რკინიგზის დეპარტამენტის მძიმე წონების, ჩამოსატვირთი ბაქნის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.19.21.001.172).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 117162.13 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 26 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 9 ივლისი, 16:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60931319;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 609313

6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;
ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;
მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ
გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60931319; ლოტის ნომერი: 609313).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 9 ივლისის 10:00 საათამდე.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს მარიამ დიასამიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** მარიამ დიასამიძე (პ/ნ 47001024168), ახალციხე, ს. ზარზმელის ქ. №31, სართული 1, ბინა №2.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ახალციხე, ს. ზარზმელის ქ. №31, სართ. 1, ბინა №2 (საკადასტრო კოდი: 62.09.32.078.01.002https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 5277.36 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 27 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 11 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60956819;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 609568

6. **მოვალე:** გიორგი დიასამიძე (პ/ნ 05001002788), ახალციხე, ს. ზარზმელის ქ. №31, სართული 1, ბინა №2.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60956819; ლოტის ნომერი: 609568).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 11 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# განცხადება
# აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306$^{I}$6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს შპს „ფრატელი გროუპის“ საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ქუთაისი, ა. წერეთლის ქ. №186 (ყოფ. №168), (ნაკვ. №1) (საკადასტრო კოდი: 03.06.21.368).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:**
- უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
- უძრავ ნივთის ნაწილზე – 271.13 კვ.მ.-ზე რეგისტრირებულია ქირავნობის ხელშეკრულება, ქირავნობის ვადა განსაზღვრულია 2020 წლის 31 იანვრამდე.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 553005.30 ლარი დღგ-ის ჩათვლით (დღგ-ის თანხა შეადგენს 84356.74 ლარს).
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 26 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 9 ივლისი, 15:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60931019;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 609310

6. **მოვალე:** დავით ახვლედიანი (პ/ნ 60002012918), ქ. ქუთაისი, ს. ხუნდაძის 59, ბინა №31;
ნატალია დვალიშვილი (პ/ნ 60001098622), ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-2 მ/რ, კორპ. 25ა, ბინა №81;
ანა საღარაძე (პ/ნ 01005043345), თბილისი, გოგი დოლიძის ქ. №19;
მაია დვალიშვილი (პ/ნ 60001143693), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ვაჟა დვალიშვილი (პ/ნ 60001147013), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58;
ბორის კუხალაშვილი (პ/ნ 60001075450), ქ. ქუთაისი, ბ. ბუკიას ქ. №3, ბინა 18;
მაია ებანოიძე (პ/ნ 01008003492), თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 70, ბინა 13;
შპს „ფრატელი გროუპი“ (ს/ნ 212886572), ქ. ქუთაისი, ახალგაზრდობის II შეს. №11ბ
გოჩა დვალიშვილი (პ/ნ 60001000244), ქ. ქუთაისი, რ. თაბუკაშვილის ქ. №58.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 39ბ, სართული 6.

8. **აუქციონის პირობები:**
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60931019; ლოტის ნომერი: 609310).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 9 ივლისის 10:00 საათამდე.

◉ ორ ფრონტზე

# პარალელურად? - რატომაც არა...



**9-წლიანი პაუზის შემდეგ ილიას ზუროსი სამშობლოში ბრუნდება — საქართველოს საკალათბურთო ნაკრების თავკაცი პარალელურად საბერძნეთის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორ „პერისტერის" მთავარ მწვრთნელად იმუშავებს, რომელიც ევროსარბიელზე ბოლოს 2004 წელს თამაშობდა და წლეულს ფიბას ჩემპიონთა ლიგაში ჩაებმება.**

ელადელი სპეციალისტი, რომელსაც ზურგს არაერთ გრანდში, მათ შორის „ოლიმპიაკოსში", „ეფესსა" და „ჟალგირისში" ნაყოფიერი მოღვაწეობა უმაგრებს, ივლისის დასაწყისში თბილისში ჩამოვა და ევრობასკეტ — 2021-ისთვის მოსამზადებლად დიდ კემპს მოაწყობს, სადაც ძველ გვარდიასთან ერთად მოვარჯიშე ნიჭიერ ახალგაზრდებსაც დააკვირდება.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◉ თარიღი

# ქართული კალათბურთის დიდების მწვერვალი

**1962 წლის 29 ივნისი გამორჩეული თარიღია ქართულ სპორტში. სწორედ ამ დღეს თბილისის „დინამომ" შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში მადრიდის „რეალს" სძლია 90:83 და საქართველოს დედაქალაქში „ვერცხლის კალათა" ჩამოიტანა. ამ ტრიუმფმა ჩვენი საამაყო გუნდი დიდების მწვერვალზე აიყვანა, რამეთუ უფრო წონიანი ჯილდო კონტინენტურ კალათბურთში არ არსებობს.**

„ვერცხლის კალათა" 1958 წელს ფრანგულმა სპორტულმა გამოცემა „ეკიპმა" დააარსა. იმ ჩვენთვის ფეხბედნიერ სეზონში გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი 23 ქვეყანამ გამოთქვა. კონკურენტთა შორის იყვნენ მაშინდელი გრანდები — მადრიდის „რეალი", მილანის „სიმენტალი", მოსკოვის ცსკა, რიგის სკა, სოფიის „აკადემიკი", ვარშავის „ლეგია" და თურქული „დარუშაფაკა". ამდენად, მათთან ჭიდილი და გამარჯვება საკმაოდ დიდ ძალისხმევასა და ოსტატობას მოითხოვდა.

60-იანი წლების დასაწყისი ქართული კალათბურთის ოქროს ხანად გვევლინება, როცა ლეგენდების დაწყებული საქმე ახალმა თაობამ ღირსეულად გააგრძელა. 1960 წელს საბჭოთა კავშირი ევროტურნირებზე ორი გუნდით წარსდგა, რადგან ორგანიზატორებმა ახალი პუნქტი დაამატეს დებულებაში, რაც უკვე ქვეყნის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორსაც აძლევდა თამაშის უფლებას. ის სეზონი თბილისის „დინამოსთვის" სადებიუტო გახლდათ და უნდა ითქვას, რომ ქართველებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს — წინა ორი გათამაშების გამარჯვებულ რიგელ არმიელებთან მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ.

ლატვიელთა ლიდერები სსრკ ნაკრების საკვანძო ფიგურები იყვნენ. ასე რომ, ადვილად წარმოსადგენია, ჩვენს თანამემამულეებს რა დონის მეტოქესთან მოუწიათ გამკლავება. თბილისელთა ზეობას ადასტურებს 1960, 1961 და 1969 წლებში მოპოვებული ვერცხლის მედლები, ჩემპიონობა 1968 წელს და გამარჯვება 1969 წლის საკავშირო თასის გათამაშებაში, თუმცა, დავუბრუნდეთ მთავარს.

ისტორიულ წარმატებამდე დინამოელებმა ფარ-ხმალი დააყრევინეს რუმინელ არმიელებს — 77:76, 82:77, თურქეთის „დარუშაფაკას" — 80:67, 84:49 და ნახევარფინალში მოსკოვის ცსკას— 75:71, 77:66. ფინალისტებმა ნეიტრალურ მოედნად ჟენევა აირჩიეს.

ვალერი ალთაბაევის ძალისხმევით, რომელიც პარტნიორებს 17 ქულით შეეწია, თბილისელები მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყვნენ, საბოლოო წერტილი კი ლევან ინწკირველმა და ლევან მოსეშვილმა დასვეს — 90:83. აღსანიშნავია, რომ ესპანელთა „სამეფო კლუბის" ღირსებას ნბა-ს ორი ამერიკელი პროფესიონალი იცავდა.

საზეიმო დაჯილდოების ცერემონიალზე ფიბას გენერალურმა მდივანმა უილიამ ჯონსმა განაცხადა: „30 წელიწადია, რაც თვალს ვადევნებ ევროპელ კალათბურთელთა თამაშებს, მაგრამ ასეთი საინტერესო ორთაბრძოლა ჯერ არ მინახავს. „რეალი" იყო ქარიშხალი და ტექნიკა, ხოლო „დინამო" — ქარიშხალი, ტექნიკა და სათამაშო დისციპლინა ერთად". ამას ამბობდა პიროვნება, რომელმაც კარგად იცოდა კალათბურთის ფასი.

შვეიცარიაში დადგმულ საკალათბურთო სპექტაკლს 82 წლის ემიგრანტი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე ესწრებოდა, რომელმაც თანამემამულეთა ტრიუმფით მოგვრილი სიხარული ასეთი სიტყვებით გამოხატა: „მე ვიხილე ქართული გენია, როკვით განფენილი. როგორც ქართველი, მე მხრებში გავიმართე. ისინი თამაშობდნენ შეწყობილად, აუღელვებლად. აქ ნათლად ჩანდა მათი დამრიგებლის ოთარ ქორქიას ღრმა საკალათბურთო ცოდნა და აზროვნება". სხვათა შორის, ქართველი გენიოსისათვის ეს უკანასკნელი დიდი სიხარული აღმოჩნდა. იგი მალევე, 1962 წლის 19 ნოემბერს გარდაიცვალა ჟენევაში

იმ ისტორიული გამარჯვების ბევრი მონაწილე დღეს ცოცხალი აღარაა. მათ რიგებს სულ ახლახან მიემატა კაცი ლეგენდა — ამირან სხიერელი. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები, ცოცხლებს კი, რომლებიც ძალიან ცოტანი დარჩნენ, ჯანმრთელობას და სულიერ სიმხნევეს ვუსურვებ. მათ სახელებს დავიწყება არ უწერია.

**ბეჟან ჩხეიძე,**
**სპორტის დამსახურებული მოღვაწე,**
**ზესტაფონიდან.**

**თბილისის „დინამო" — 1962**

გურამ მინაშვილი, ლევან მოსეშვილი, ილარიონ ხაზარაძე, რევაზ გოგელია, ამირან სხიერელი, ვალერი ალთაბაევი, ანზორ ლეჟავა, ლევან ინწკირველი, ვლადიმერ უგრეხელიძე, ალექსანდრე კილაძე და ალექსანდრე პეტროვი, რომელიც ფინალური მატჩისთვის მოსკოვის „დინამოდან" დავიმატეთ.

**მწვრთნელი** — ოთარ ქორქია, **ასისტენტი** — ანტონ ბურჭულაძე.



◉ მარადიული თანამედროვე

# გვიყვარდი, გვეყვარები

**დიდი ქართველი უკრაინული ფესვებით — ასეთად ვიცნობდით ფიფას არბიტრს, ჩვენს ქვეყანაში XX საუკუნის საუკეთესო მსაჯად აღიარებულ ანატოლ მილჩენკოს.**

იშვიათი პიროვნული ხიბლით დაჯილდოებულ ამ ფართო დიაპაზონის მამულიშვილს დღესაც დამსახურებული პატივისცემით იგონებენ როგორც საფეხბურთო სამყაროს წარმომადგენლები, ისე მის მშობლიურ კუთხედ ქცეული სამცხე-ჯავახეთის მკვიდრნი, სადაც 1938 წლის 26 მარტს დაიბადა და გაიზარდა კიდეც ჩვენი საამაყო თანამემამულე.

სწორედ მის ნათელ ხსოვნას მიეძღვნა ბორჯომის კულტურისა და ახალგაზრდობის სასახლეში ახლახან გამართული სამახსოვრო საღამო, რომელსაც ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი ვალერიან ლომიძე უძღვებოდა.



მარცხნიდან:
I რიგში — დემიკო ლოლაძე, ჯემალ ზეინკლიშვილი (უმცროსი); II რიგში — ვახტანგ ბაქანიძე, გურამ გვანცელაძე, ვალერი სუხიაშვილი, ავთანდილ კოკაია, ვლადიმერ ეჯიბია, ტრისტან ნიშნიანიძე.

ორატორებმა — როგორც დემიკო ლოლაძემ, ავთანდილ კოკაიამ და ძვირფასი „ვასილიჩის" სხვა მეგობრებმა, ისე ქალაქის მუნიციპალიტეტის მერიისა (ლევან ლიპარტია, ბუბა ბერიძე) და საკრებულოს (გიორგი გოგიჩაიშვილი) თავკაცებმა ხაზი გაუსვეს ჩვენი მარადიული თანამედროვის მრავალმხრივი მოღვაწეობის მნიშვნელობას, განსაკუთრებით — აფხაზეთის შეუხორცებელ იარასთან მიმართებაში, სადაც მან ბევრი კეთილი საქმე გააკეთა და მრავალი შინაარსიანი წელი გაატარა.

შეკრებილებმა გამორჩეული მადლიერება გამოხატეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, მეტადრე — მისი პირველი ვიცე-პრეზიდენტის კახა ჭუმბურიძის მიმართ, ვისი ძალისხმევითაც არაერთი ორგანიზაციული საკითხი გადაიჭრა, მათ შორის — წიგნ ბორჯომი-სოხუმი — „უემბლის" გამოცემის პროცესში (ავტორები თენგიზ პაჭკორია, დემიკო ლოლაძე), რომლის რედაქტორობასაც შესანიშნავად გაართვა თავი.

გულისხმიერებით გამთბარი აღნიშნული ღონისძიებისადმი მიძღვნილი რეცენზია გვსურს დავასრულოთ დაუვიწყარი კოლეგის უმცროსი მეგობრის, საკავშირო კატეგორიის მსაჯ ავთანდილ კოკაიას საგულისხმო სტრიქონებით:

**„ანატოლი მილჩენკო გახლდათ დაუოკებელი სპორტული ჟინისა და ენერგიის ადამიანი, უდიდესი ოპტიმისტი, თავისი საქმის ჭეშმარიტი პროფესიონალი. მის ისტორიულ უტყუარობას ვერავინ გაექცევა. თუკი ქართულ ფეხბურთში, კერძოდ მსაჯობაში ვინმეს რაიმე შეუქმნია, ერთ-ერთი მათგანი სწორედ ა. მილჩენკოა. ისტორიას ფაქტები მოჰყვება, ფაქტები კი სახეზეა. მან საქართველოდან ფეხბურთის მსაჯობის სახელი მსოფლიოს არენაზე გაიტანა".**



**ცნობისთვის: წლეულს სექტემბერში ბატონ ა. კოკაიას 70 წელი უსრულდება.**

**კობა კობახიძე**

◉ ტრადიციის ერთგულნი

# თანამოაზრეთა ძალისხმევით



**ჩვენ ხშირად ვაშუქებთ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით გამართული ტურნირების პერიპეტიებს, მაგრამ, ვფიქრობთ, განსაკუთრებულ მადლიერებას იმსახურებს თანამოაზრეთა ის გუნდი, რომელიც ქვეყნის ამ ერთ-ერთ წამყვან უმაღლეს სასწავლებელში მისი რექტორის, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას თავკაცობით შეიკრიბა და სამაგალითოდ მოღვაწეობს მომავალ მედიკოსთა ფიზიკურად გასაკაჟებლად.**

ესენი გახლავან კანცლერი, პროფესორი ზურაბ ორჯონიკიძე, სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტი ანა კაკაბაძე მთელი თავისი „ამალით", სპორტის ცენტრის დირექტორი ზაურ ფხალაძე და თსსუ-ს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი, ყველა ასპარეზობის მთავარი მსაჯი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე ვახტანგ ბაქანიძე.

სწორედ მათ ძალისხმევას უნდა ვუმადლოდეთ როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ფაკულტეტების სტუდენტთა გააქტიურებასა და თსსუ-ს სპორტული ობიექტების მათთვის სასურველ დროს დათმობის ტრადიციის დამკვიდრებას, პერსპექტივაში კი ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და გაუმჯობესება მოიაზრება.

მართალია, ზაფხულის ხვატი და მდუღარე პოლიტიკური ივნისი დღევანდელი დედაქალაქის განუყრელ ნაწილად იქცა, მაგრამ საბურთალოზე საამაყო სპორტულ მოღვაწეთა გასახსენებლად და მათი ნაამაგარის დასაფასებლად მაინც იცლიან.

დასტურად 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში თბილისის „დინამოს" მიერ დადგმული საეტაპო სპექტაკლის გმირების — ვიტალი დარსელიას, დავით ყიფიანისა და რამაზ შენგელიას მემორიალი გამოდგება, რომელშიც ფაკულტეტების მინი-ფეხბურთელთა 18 გუნდი ჩაება.

**ნახევარფინალი:** მფრინავი პოლანდიელი — რეაბილიტაცია 4:2, დასავლეთი — კოზა ნოსტრა 4:3. **ფინალი** — მფრინავი ჰოლანდიელი — დასავლეთი 9:6. **III ადგილი** — კოზა ნოსტრა.

**ხსოვნის ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელები**

**მეკარე** — ლევან გობეჯიშვილი:

**ბომბარდირი** — გიორგი პაიჭაძე (12 გოლი);

**მოთამაშე** — მოჰამედ ამაირე (იორდანია).

**გიორგი შოთაძე**

ხსოვნა

# ალექსანდრე მიქაძის გახსენება
# დაუვიწყარი ქოლობნელი

ღირსეული ქოლობნელის **ალექსანდრე მიქაძის** (ალექსანდრე კოლხოზის) დაბადებიდან 110 წელი შესრულდა. იგი დაიბადა აბაშის რაიონის სოფელ ქოლობანში. სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ ალექსანდრე მიქაძე კოლმეურნეობის ჩამოყალიბების დღიდან დანიშნეს პირველ თავმჯდომარედ. სოფელი მას დღესაც სიყვარულითა და პატივისცემით მოიხსენიებს, როგორც „ალექსანდრე კოლხოზს“. ამ პერიოდში იგი ქორწინდება თამარ რუსიაზე, შეეძინებათ 4 შვილი. მალე მთავრობის გადაწყვეტილებით როგორც მოწინავე, წარმატებული და პერსპექტიული ახალგაზრდა ალექსანდრე მიქაძე იგზავნება ამიერკავკასიის უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომლის პარალელურად, სწავლას განაგრძობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე. სწავლის დამთავრების შემდეგ მას ნიშნავენ ჯერ აგარის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორად, შემდეგ კი ქარელის აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ გადაჰყავთ თბილისში საკავშირო მნიშვნელობის აგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილედ.



ალექსანდრე მიქაძეს სიცოცხლის ბოლომდე მშობლიურ ქოლობანთან და ქოლობნელებთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა, პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი მეუღლესთან ერთად გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ცხოვრობდა სოფელში.

ალექსანდრე მიქაძე მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე ზრუნავდა თავის სოფელსა და მის მცხოვრებლებზე. არ ყოფილა სოფელში რაიმე პრობლემა, რომლის გადაწყვეტაშიც ალექსანდრე „კოლხოზს“ მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოს.

სოფლის პირველი გზა, სამგზავრო ტრანსპორტი, პირველი ელ. გაყვანილობა, სოფელში ახალი კაპიტალური სკოლა მის სახელს უკავშირდება. ალექსანდრე მიქაძის უანგარო დახმარების მადლი არაერთი ქოლობნელის ოჯახს ახსოვს. მას ძალიან უყვარდა მშობლიური ქოლობანი, რადგან ეს იყო მისი ადგილის დედა, მონატრებული ოდაბადე.

ქოლობნის სახელოვანი შვილებიდან ალექსანდრე მიქაძე ერთ-ერთი უპირველესია, იგი დაჯილდოებული იყო არა ერთი სამთავრობო ჯილდოთი, იყო საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი.

არ იკარგება ღირსეული ადამიანების ხსოვნა, დროს არ შეუძლია წაშალოს მათი ნაღვაწი.

ალექსანდრე მიქაძის სახელიც დაუვიწყარი იქნება, როგორც მისი შთამომავლებისთვის, ასევე მშობლიური ქოლობნისთვის და იმ ადამიანებისთვის, რომელთანაც ერთად უხდებოდა მას ცხოვრება და მოღვაწეობა.

ნათელში იყოს შენი სული, ჩინებულო ქართველო! არასოდეს დაგივიწყებთ!

**ოჯახის მეგობართა ჯგუფი**

სანთელი

ვახტანგ ყოლბაია ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

## გულიშა (გული) შონია-აქუბარდია

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.
გამოსვენება 27 VI, ბათუმის ყოფილი ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის (ბნზ-ს) დევნილთა დასახლებიდან.

# თურქეთში ავარიისას საქართველოს ორი მოქალაქე დაიღუპა

**ავარია გუშინ დილით, 03:45 საათზე დასახლება ფაზართან, ტრაპიზონიდან 120 კილომეტრის მოშორებით, ავტობანზე მოხდა.**

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გარდაცვლილები ერთი ოჯახის წევრები, ხულოს მცხოვრებლები არიან და თურქეთში სამკურნალოდ იმყოფებოდნენ. ავტომანქანაში მყოფი კიდევ ერთი ადამიანი მძიმე მდგომარეობაში ქალაქ რიზეს კლინიკაშია გადაყვანილი.




გარდაცვლილთაგან ერთის ცხედარი რიზეს ერდოღანის სახელობის კლინიკის, ხოლო მეორე დაბა ფაზარის პროზექტურაში არის მოთავსებული.

# განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[I]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს შპს „დიღომი პალასი 6“-ის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** შპს „დიღომი პალასი 6“ (ს/ნ 405083305), ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ყიფშიძის შესახ. №15, სართული 3.

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი №7, სადარბაზო №2, სართ. 6, ბინა №72 (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.172.01.02.072https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 31464.06 ლარი დღგ-ის ჩათვლით;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 27 ივნისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 11 ივლისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP60956619;
აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 609566

6. **მოვალე:** ნონა ლორია (პ/ნ 37001030749), თბილისი, დიდი დიღომი, პეტრე იბერის შესახვევი №7, არქი პალასის „ფ“ კორპუსი, სად. 2, სართ. 6, ბინა №72.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP60956619; ლოტის ნომერი: 609566).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 11 ივლისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# ქუთაისის აეროპორტიდან – ევროკავშირის ქვეყნებში

საერთო ჯამში, ქუთაისის აეროპორტიდან ფრენები ევროკავშირის 19 ქვეყნის 39 მიმართულებით განხორციელდება, – ამის შესახებ „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორმა გიორგი ჩოგოვაძემ განაცხადა ავიაკომპანია „ვიზ ეართან“ (Wizz Air) 12 ახალი მიმართულების შესახებ შეთანხმების გაფორმების შემდეგ.

**„ხელი მოვაწერეთ მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, რომელიც გულისხმობს, 2019 წლის ბოლოსთვის ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის აეროპორტში „ვიზ ეარის“ ბაზირებული საჰაერო ხომალდების რაოდენობის ოთხამდე გაზრდას, 2020 წლისთვის კი, ხუთამდე. საერთო ჯამში, ევროკავშირის 19 ქვეყნის 39 მიმართულებაზე იფრენს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან „ვიზ ეარი“,** – განაცხადა ჩოგოვაძემ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ დირექტორმა გიორგი ჩოგოვაძემ და უნგრული დაბალბიუჯეტიანი ავიაკომპანია „ვიზ ეარის“ ლოგისტიკის დირექტორმა ანდრაშ შებოკმა. ღონისძიება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში გაიმართა, რომელსაც მინისტრი ნათია თურნავა დაესწრო.



შეთანხმების მიხედვით, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან პირდაპირი რეგულარული ავიარეისები ფრანკფურტის, ჰამბურგის, ბადენ-ბადენის, ვენეციის, ნეაპოლის, ნიცის, პიზის, სტოკჰოლმის, ნიურნბერგის, პოზნანის, ჰერაკლიონისა და ტურკუს მიმართულებით შესრულდება. საქართველოდან დღემდე ფინეთსა და შვედეთში პირდაპირი რეგულარული საჰაერო მიმოსვლა არ სრულდება.

ქუთაისის დავით აღმაშენებლის საერთაშორისო აეროპორტში ოპერირებას „ვიზ ეარი“ მეოთხე და მეხუთე ბაზირებულ AIRBUS A 320 ტიპის თანამედროვე საჰაერო ხომალდებს ამატებს. მეოთხე ბაზირებული ბორტი 2019 წლის ბოლოდან რეგულარულ ფრენებს ევროკავშირის ქვეყნების შვიდი მიმართულებით: პოზნანი, ჰამბურგი, ნეაპოლი, ვენეცია, პიზა, ფრანკფურტი და ბადენ-ბადენში შეასრულებს. 2020 წლის ზაფხულიდან კი, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს მეხუთე ბაზირებული საჰაერო ხომალდით ევროპის კიდევ ხუთი ახალი მიმართულება: სტოკჰოლმი, ნიურნბერგი, ტურკუ, ნიცა, ჰერაკლიონი დაემატება.

**◉ სადღეისო მუნასიბი**

# ყვირილასავით შავი ყვირილი



ამღვრეულმა, შავმა, როგორც ყვირილამ,
შემაძრწუნა ნაც-ბაცნების ყვირილმა,
შეეცადნენ, უფრო მეტი იკადრონ,
ვიდრე 20-ში მელიაანთ ნიკანდრომ.
საუბარი რომელ სამართალზეა?
პარლამენტი ხულიგნებით სავსეა,
პარლამენტი „გოციკებით“ სავსეა,
პარლამენტი ნაცბოზებით სავსეა...
მაგრამ უკვე არ დავუთმობთ ლელოსა,
9 წელს სისხლს ვინც სწოვდა საქართველოსა!

**ალექსანდრე შენგელია,**
**ქუთაისიდან**

# მაკო გომური: წავედით მე და ჩემი თვალუკა ევროპაში და დაგიბრუნდებით კარგი ამბებით

**ასე წერს „ფეისბუქში“ მაკო გომური, რომელმაც 21 ივნისის ღამეს, პარლამენტთან აქციის დაშლისას თვალი დაკარგა.**



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ საქართველოს პირველ არხზე, „მოამბეში“ განაცხადა, რომ ახლა ყველაზე მთავარი დაზარალებული მოქალაქეებისა და პოლიციელების ჯანმრთელობაა და სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ მკურნალობას საუკეთესო კლინიკებში, მათ შორის საზღვარგარეთ, ასევე ჩამოიყვანს საუკეთესო სპეციალისტებს, ვინაიდან მისი შეფასებით, ადამიანის ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი არაფერია.

# აქციაზე დაკავებული 51 პირი პატიმრობიდან გათავისუფლდა




**„25 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განიხილა და დააკმაყოფილა საქართველოს პროკურატურის პროტესტები, რომლის თანახმადაც, ამა წლის 21 ივნისს ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის შეფარდებული სახდელის ზომა — პატიმრობის ვადა 51 პირის მიმართ შეიცვალა და შემცირდა.**

**თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეთა დადგენილებების საფუძველზე, 51 პირი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა ადმინისტრაციული პატიმრობიდან“,** — აღნიშნულია საქალაქო სასამართლოს ინფორმაციაში.

პროკურატურაში განაცხადეს, რომ მიღებული იყო გადაწყვეტილება აქციისას დაკავებულთა უმრავლესობის პატიმრობიდან გათავისუფლებაზე სასამართლოსთვის მიმართვის შესახებ.

# ლატვიელმა ბლოგერმა საქართველოს შესახებ ვიდეორგოლი გადაიღო

**ლატვიელი ბლოგერი ალექსანდრ ალიმოვი საქართველოს შესახებ ვიდეობლოგს აქვეყნებს.**

ბლოგერმა გადამღებ ჯგუფთან ერთად საქართველოში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმოგზაურა.



ჯგუფის წევრებმა ერთი კვირის განმავლობაში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმოგზაურეს და 20-წუთიანი ვიდეობლოგი გადაიღეს.

ვიდეორგოლში იმერეთის, აჭარის, სვანეთის ტურისტული ღირსშესანიშნაობებია წარმოდგენილი.

# ევროპაში ტემპერატურა რეკორდულ ნიშნულს მიაღწევს

**ამის შესახებ ინფორმაციას ევროპის მეტეოროლოგიური სამსახურები ავრცელებენ.**




სინოპტიკოსების ცნობით, კვირის ბოლოს საფრანგეთში ტემპერატურა 45 გრადუს ცელსიუსს მიაღწევს. რეკორდული სიცხე ქვეყნის სამხრეთ ნაწილშია მოსალოდნელი.

პროგნოზის მიხედვით, 40 გრადუს ცელსიუსს მიაღწევს ტემპერატურა იტალიასა და ესპანეთშიც. უჩვეულო სიცხეა მოსალოდნელი გერმანიაში, პოლონეთსა და ჩეხეთშიც.

სინოპტიკოსების ცნობით, ტემპერატურის მომატებას ჩრდილოეთ აფრიკიდან მომავალი ციკლონი უწყობს ხელს.

ძლიერი სიცხე განსაკუთრებით საშიში მოხუცებისა და ბავშვებისთვისაა.

# მსოფლიოში ცნობილი მაშველი ძაღლი ფრიდა პენსიაზე გავიდა

**მაშველი ძაღლი, რომელიც 2017 წელს მექსიკაში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ მთელ მსოფლიოში ცნობილი გახდა, პენსიაზე გავიდა.**



BBC-ის ცნობით, მაშველი ძაღლი სამაშველო ოპერაციებში 9 წლის განმავლობაში მონაწილეობდა. 24 ივნისს მექსიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა ლაბრადორ ფრიდას პატივსაცემად ცერემონია გამართა.

მაშველი ძაღლი 10 წლისაა. ფრიდამ მექსიკაში 53 სამაშველო ოპერაციაში მიიღო მონაწილეობა. მექსიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ინფორმაციით, ლაბრადორმა 12 ადამიანი გადაარჩინა და 40 ცხედარი იპოვა.

ფრიდას ფოტო, სახეზე დამცავი ნიღბით, მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა და მიწისძვრის შემდეგ მექსიკაში იმედის სიმბოლოდ იქცა. მექსიკაში მიწისძვრა 2017 წელს მოხდა და 300 ადამიანი დაიღუპა.

გამოსამშვიდობებელ ცერემონიაზე ფრიდას სამაშველო ნიღაბი და ფეხსაცმელი კედელზე ჩამოკიდეს, ხოლო ძაღლს საჩუქრად სათამაშო გადასცეს, რომელიც მას შემდეგ ცხოვრებაში გამოადგება.

# ძველი აკუმულატორები და სტადიონის განათება

**ელექტროავტომობილების ძველი აკუმულატორებით სულ მალე შესაძლოა ექვსი ევროპული საფეხბურთო სტადიონი გაანათონ. ამის შესახებ BBC წერს.**



ამერიკული კომპანია Eaton-ი, რომელიც ამისთვის Nissan Leaf-ის აკუმულატორებს იყენებს, ჯერჯერობით უცნობ საფეხბურთო სტადიონებთან მართავს მოლაპარაკებებს.

კომპანიის ძველ აკუმულატორებს უკვე იყენებენ ნორვეგიისა და ნიდერლანდების სტადიონების გასანათებლად.

პროექტის მიზანი გაცილებით ფართო მასშტაბებზე გასვლა და შესაბამისად ელექტროავტომობილების მეტი მეორადი აკუმულატორის ამ მიზნით გამოყენებაა.

Eaton-ის ვიცე-პრეზიდენტი ქრეიგ მაკდონელი განმარტავს, რომ პროექტით ევროპის მასშტაბით საფეხბურთო სტადიონების გაერთიანებაა დაინტერესებული.

ჯერ კიდევ 2018 წელს Nissan-მა ელექტროავტომობილის გამოუსადეგარი აკუმულატორები ქუჩის განათებად გარდაქმნა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.8333; ევრო - 3.2260;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6147;
100 რუბლი - 4.5177; თურქული ლირა - 0.4890;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6665;
1000 სომხური დრამი - 5.9436.

**ამინდი 27 ივნისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +19, | დღე | +34 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +11, | დღე | +29 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +17, | დღე | +31 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე | +29 |
| თბილისი: | ღამე | +23, | დღე | +35 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge